# სახალხო გაზეთი

№ 461 კვირა, 27 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 461

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეძირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. წ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაილი მეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ამ ნომერში ექვსი გვერდია.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.


ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და დიმიტრი მიხეილის ძე რჩეულიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის და ძვირფასის პირველის—ძმის და მეორესი—ცოლის ძმის, პეტერბურგის უნივერსიტეტში ფინანსთა უფლებათა კათედრასთან დატოვებულის თავადის

დავით ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილის.

დასაფლავება—კვირას, 27 ნოემბერს, სოფელ ხოვლეში (სადგური გრაკალი). გამოსვენება დილის 11 საათზე. (1—955—1)

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 25 ნოემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი და ძვირფასი

ნიკოლოზ ლუკას ძე ბაქრაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ფრიად შეწუხებულნი და უდროოდ დაობლებულნი მეუღლე მისი ნინო რომანოზის ასული და შვილები მათი ქეთო და გოგია. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე, ბარონის ქუჩა, № 35, სახლი ბაქრაძისა; გამოსვენება სამშაბათს, 29 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (2—953—1)

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 25 ნოემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი და ძვირფასი

ნიკოლოზ ლუკას ძე ბაქრაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარნი დანი მისნი: ანნა ნახუცრიშვილისა, მარიამ კანდელაკისა, ნატალია თოთიბაძისა და ანასტასია ექვთიმიშვილისა, ძმანი—გიორგი და ერეკლე ბაქრაძენი. პანაშვიდები ყოველ-დღე—საღამოს 6 საათზე, ბარონის ქ., № 32, სახ. ბაქრაძისა; გამოსვენება სამშაბათს—29 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (2—952—1)

გიორგი და ალექსანდრე რომანოზის ძენი მრევლიშვილები და დარია რომანოზის ასული ამბოკაძისა თავიანთ ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასის სიძისას

ნიკოლოზ ლუკას ძის ბაქრაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ბარონის ქუჩა № 32, სახ. ბაქრაძისა; გამოსვენება სამშაბათს—29 ნოემბერს, დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. ხოლო დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (2—954—1)

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის

კრებული

აუწყებს ამა ეკლესიის მრევლს, რომ კვირას, გიორგობისთვის 27-ს, წირვის შემდეგ, დანიშნულია

მნათის არჩევანი. (3.945.3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერხოცკაია-ფირადოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

დადეშიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე. 1—$1^1/_2$ ს.

შელიქაშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუცაბეროვი ბ. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

წამლობა „606"-ით

სამკურნალოს აქვს მოწყობილი Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089 618)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

კვირას, 27 ნოემბერს,

ბლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა გუცკოვისა: ურიელ აკოსტა, ტრაგედია 5 მოქმ., თარგმანი ნ. ავალიშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: ალუდიშვილი, ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმნაძე, აბდუშელი, გუნია, გვარამძე, მატარაძე, ციციშვილი, ხარაული. ადგილ. ფასი დაკლებულია. დასაწყ. საღ. 8 ს. ანონსი: ანტიგონა. შემდეგი წარმოდგენა გასტ აბაშიძის ბენეფისი, წარმოდგენილ იქნება „უდანაშაულოდ დამნაშავენი". რეჟის. ბლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (2.951.2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 27 ნოემბერს, 1911 წ. გაიმართება

სალიტერატურო დილა

I განყოფილება ა. ზ. ლეჟავა წაიკითხავს ქართულად ლექციას: „დაღისტანი და შამილი"

II განყოფილება

სალიტერატურო სამეხიკო.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. მგალობლიშვილი, გრიშაშვილი, იორდანიშვილი, საფაროვი, ია ეკალაძე, საღირაშვილი, აბაშიძე და სხვანი. (2—950—2)

ახალი კლუბი

სევილიელი დალაქი

გადაიდო სამშაბათს, 29 ნოემბრისათვის.

შაბათს, 26 ნოემბრისათვის ნაყიდი ბილეთები მიიღება სამშაბათს, 29 ნოემბერს. (2—1608—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობინებს ხმოსანთა ამომრჩეველთ,

რომ დღეს, კვირას, 27 გიორგობისთვის მოხდება

ხმოსანთა არჩევნები.

1 საარჩევნო უბნისა: ქალაქის შრომის ბირჟის სადგომში (ვერის მოედ.)

2 საარჩევნო უბნისა: ქალაქის საბჭოს დარბაზში (შესავალი ველიამ. ქუჩ.)

3 საარჩევნო უბნისა: ავლაბრის კლუბის სადგომში (კახეთის მოედანი).

არჩევნები დაიწყება დილის 10 საათიდან და საღამოს 6 საათამდე გაგრძელდება. (1—1610—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—183

ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—35)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. შელიქაშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. (წლ.—1090—222)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადედაკაცო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, მელოგინეთ, სადედაკაცო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—52)

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—34)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს

ექიმი გ. ლოლობერიძე

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—8)

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ზ. ნ. გაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლევებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვ.). მიხეილის პროსპექ. N 36. ტელეფონი 333. 25—1442—82

ექიმი ბ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.24)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1687. (100—1117—48)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 9 სახლი გაბაშვილისა.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამოკვლევა და განათება რენტგენის სხივებით. ვერა, ჟორდანიას ქ., N 20. (წ.—1249—65

ექიმი ქალისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი ე. გაბაშვილი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 17 (?—44)

იბეჭდება და რამდენსამე დღეში გამოვა გასასყიდად

პ. ირეთელის ახალი პიესა

„სოფლის გმირები".

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი"-დან.

ფასი 20 კაპ.

წიგნის დაკვეთა ეხლავე შეიძლება, წიგნით მოვაჭრეებს დაუთმობათ 20 პროც. ფულის მაგივრად შეიძლება საფოსტო მარკების გამოგზავნა. ადრესი: Тифлисъ, типографія Ар. Кереселидзе, для Я Цецхладзе. (2.940.2)

ტფილისის ქართულ მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებული 1910 წელსა),

რომელიც ასრულებს ეროვნულ სიმღერა-გალობას. იღებს მონაწილეობას: კონცერტებში, საღამოებში, წირვისა, ქორწილისა და პანაშვიდის საგალობლებში. გუნდის დაკვეთა და ახალ მომღერლების მიღება მიხ. კავსაძესთან სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 საათამდე. ავჭალის მოედანი, N 11. (3.1599.3)

იყიდება

მეორე თუმანოვის ქუჩაზე ქვითკირით აშენებული 1904 წელს

სამ სართულიანი სახლი,

სარდაფით და ეზოთი. ბანკის ვალი 7500 მანეთია. დაწვრილებით ცნობებისთვის მიჰმართეთ: თუმანოვის ქუჩაზე, სახლი № 14, ხოფერ ი. მღებრიშვილისას, დილის 9—12 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (5—1607—2)

ვილლებ

სამკლესით სამზა-

ტვრო საქმეებს მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზ. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი. (23—958—1)

პარიზში სპეციალურად ფრანგულ ენის კურს-დამთავრებული ქართველი ქალი (დიპლომით),

ფრანგულ ენის

გაკვეთილებს აძლევს.

ხელმისაწვდომ ფასად. სასურველია რომელიმე ოჯახში იშოვოს გაკვეთილები, ოთახისა და სრულს ხარჯის საფასურში. თანახმაა ფრანგულ ენის გაკვეთილები აძლიოს, თუ სამაგიეროდ ნემეცურს ასწავლიან. მისამართი: ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, №4, იკითხეთ ქ-ნ შირსკისთან. (5.1609.1)


## ტფილისი, 27 ნოემბერი

**სპარსეთი და ინგლისი** სპარსეთის მდგომარეობას ისევ გმოურკვევლობა ეტყობა. როგორც იქიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, შინაურ ცხოვრებაში სრული ანარქია თუ არ არის გამეფებული, ყოველ შემთხვევაში არც სრული წესრიგია. ათასნაირი ავადმყოფობა სწწავს სპარსეთს. მოუწყობელი ფინანსები, მაჰმად-ალის ავანტიურა და ბოლოს ზედ რუსეთის ულტიმატუმიც დაერთო. რუსის ნაციონალისტები ყოველ დღე მოითხოვენ სპარსეთის დასჯას და განაწილებას. რამდენად ეთანხმება რუსის ნაციონალისტების სურვილი მთავრობის სურვილს, ძნელი სათქმელია; ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ეს ხმები ოფიციალურად უარყოფილი არ არის.

საინტერესო სურათი გადაიშალა ამ დღეებში ინგლისში. ინგლისსა და რუსეთს შორის სპარსეთის შესახებ შეთანხმება აქვთ. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთი ინგლისის დაუკითხავად ვერ დაადგებოდა ისეთს გადაწყვეტილებას, რომელიც ძირიანად სცვლის სპარსეთის ყოფა-ცხოვრებას. ლორდთა პალატის შეკითხვაზე მთავრობის წარმომადგენელმა, პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მთავრობას პალატის წევრები ეკითხებოდნენ, მოელის თუ არა სპარსეთის დამოუკიდებლობას საფრთხეო. მინისტრს პირდაპირ არ უპასუხნია ამ კითხვაზე, მაგრამ პასუხი მაინც ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ამ მხრით სპარსეთს არავითარი საფრთხე არ მოელის. მინისტრის აზრით, მორგან შუსტერი წრფელის სურვილითაა გატაცებული, მაგრამ თავისი უტაქტო საქციელით რუსეთის წარმომადგენლები გააბრაზა. კატეგორიულადაა გამოცხადებული, რომ რუსეთის მთავრობას არავითარი სურვილი არა აქვს, მხარი დაუჭიროს მაჰომედ-ალის. თუმცა რაღაც ბუნდოვან შთაბეჭდილებას სტოვებს მთავრობის წარმომადგენლის განცხადება, ინგლისმა შეატყობინა რუსეთს, რომ ინგლისი ვერას გზით ვერ შეურიგდება მაჰომედ-ალის მეორედ ტახტზე ასვლასაო, მაგრამ მაინც არ შეიძლება მნიშვნელობა არ მივცეთ იმ პასუხს, რომელიც მთავრობის წარმომადგენელმა მისცა ლორდთა პალატას სპარსეთის საქმეების გამო.

მაშ, უზრუნველ-ყოფილია თუ არა სპარსეთის დამოუკიდებლობა? ჯერ-ჯერობით შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველ-ყოფილია, მაგრამ რას მოგვიტანს ცვალებადი დიპლომატია, ალლაჰმა უწყის.

## სომხური პრესა

„სახალხო გაზეთი"-ს 256 №-ში დაისტამბა „მშაკის" წერილი ერობის შესახებ, რომელსაც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ თავისი შენიშვნა გაუკეთა. „მშაკის" რედაქციამ ეს შენიშვნა მთლიანად უთარგმნა თავის მე-260-ე №-ში და თავის მხრივ შემდეგი დაუმატა:

„ჩვენ გვესმის ქართულ გაზეთის შენიშვნის თვალსაზრი, მაგრამ მაინც და მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ერობის სასარგებლოდ შეიკრიბოს ძლიერი და შეურყეველი საზოგადო აზრი, რომელიც დღე და დღე უნდა იზრდებოდეს და ჰლაღადებდეს.

საზოგადო ძლიერ აზრს მრავალ შემთხვევაში დიდი გავლენა მოუხდენიაო, ამბობს „მშაკი".

*
* *

გაზ. „ჰორიზონი" (№ 259) საქალაქო არჩევნების გამო გაზ. „დროშა"-ს მიერ ატეხილ განგაშის გამო სწერს და დასასრულს უმატებს:

რადგანაც ჩვენ ვიკისრეთ კანონიერი მიმოხილვა მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს ქართველთა ცხოვრებისა და ლიტერატურის შესახებ, შემდეგშიაც მივაწოდებთ მხოლოდ ერთი უმორჩილესი თხოვნა გვაქვს უფლის მიმართ, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ეს არჩევნები, რომ მოგრჩეთ ქართულ გაზეთე-

ბის ავალ-მავალს, რომელმაც ყურთასმენა დაგვიკარგა".

წერილის ავტორი ამბობს, სიტყვა „სომეხი" ამ არჩევნების გამო ყოველ დღე იხმარება მრავალნაირათ.

# სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი

**რომანოვი თავმჯდომარეობს.** განსახილველია ხოლმსის გუბერნიის დაარსების საკითხი. **37** წევრმა წინადადება შეიტანა მოხსენება ამ კანონ-პროექტის თაობაზე კომისიას გადავცეთო. ამის შესახებ ოთხმა კაცმა უნდა ილაპარაკოს წესდების ძალით.

**გარუსევიჩი** მოითხოვს, მეტმა ილაპარაკოსო.

**დიმშა** და **გარუსევიჩი**, როგორც წინადადების შემტანელნი, თავის საზრებას ასაბუთებენ.

**174** ხმით **95** წინააღმდეგ წინადადება უარჰყვეს. მოლაპარაკედ ბევრი ჩაეწერა.

მინისტრთა ლოჟაში შინაგან საქმეთა **მინისტრია.**

**ნიხაზევი** ერთ საათს მოუნდა მოხსენების წაკითხვას. განიხილა ხოლმსის მხრის ისტორია და დაასკვნა. იგი რუსეთს ყოველთვის ეკუთვნოდა. პოლონელები, დამოუკიდებლობის დროს, ძალიანა სცდილობდნენ იქ მცხოვრებ რუსთა გაპოლონელებას, გადაგვარებას, მართლმადიდებლობის მოსპობას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. რაც დამოუკიდებლობის დროს ვერ მოახერხეს, ეხლა, რუსეთის მფლობელობის დროს მოახერხეს. ხოლმშჩინის გამოყოფა საჭიროა არა მარტო რუსეთისთვის, იგი პოლონეთსაც არგებსო და სხვა და სხვა საჭირო რეფორმების შემოღებას გააადვილებსო. რუსეთის განაპირა ქვეყნების მცხოვრებთ ეჭვი არა აქვთ, რომ რუსეთი შეიერთებს რუსეთის ხოლმსის მიწა-წყალსო,—დაამთავრა მომხსენებელმა, რისთვისაც მემარჯვენეებმა და ცენტრელებმა ტაშის კვრით თანაგრძნობა გამოუცხადეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, ხოლმშჩინის საკითხმა შინ თუ გარედ ყველანი დააინტერესა. ხოლმშჩინის გამოყოფა უეჭველად საჭიროა, რადგან იქ რუსები იჩაგრებიან. თუნდ ქალაქის თვითმმართველობა და სხვა რეფორმები შემოვიღოთ, რა გამოვა? არაფერი, ვინაიდან ყველაფერი კულტუროსან პოლონელებს დარჩებათ და უკულტურო, უძლური რუსის გლეხობა კი დაიჩაგრება. მე მგონია, მთავრობა ყველა დაჩაგრულს და უძლურს უნდა ეხმარებოდეს. საჭიროა პოლონელების დაჩაგვრისაგან რუსთა განთავისუფლება. პოლონეთი სახელმწიფო კი არა, რუსეთის იმპერიის ნაწილია (ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

მინისტრი ეხება მეცნიერთაგან ხოლმსის გამოკვლევას. აღნიშნავს სამწუხარო მოვლენას,—პოლონელების ძლიერ გავლენას. წაიკითხეთ იქაური ხალხური ლექსები და მიჰხვდებით, რა ნაირი გავლენაა პოლონელებისა; მიუხედავად ყველა ამისა, იქ მაინც ნამდვილი რუსნი ცხოვრობენ და ის ხალხური ლექსები რუსულია და არა პოლონურიო, ამბობს მინისტრი. შემდეგ იგი ეხება სასტატისტიკო ცნობებს. ყველა შეიძლება შესცდეს, ნამდვილი ცნობები ვერ აღნუსხოს, შეიძლება მთავრობაც შესცდეს, მაგრამ მაინც ისეთია სასტატისტიკო ცნობა და მათ წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით.

ბოლოს მინისტრი **1905—1906** წლის ამბავს იხსენიებს. მაშინ კსენძები პირდაპირ ამბობდნენ, ეს მხარე პოლონეთს ეკუთვნისო და ყველა პოლონელიც ამას ამბობდა. კათოლიკენი შეურაცხყოფდნენ რუსთა სარწმუნოებრივ გრძნობას, მაგრამ რუსნი მთლად დამოკიდებულნი არიან პოლონელების მემამულეთაგან და ამიტომ ვერაფრით აცხადებდნენ პროტესტს. ამ დროის დღესასწაულების დროს ბევრჯერ იძახდნენ: „ძლიერება პოლონეთისო".

თქვენ, ბ-ნო სათათბიროს წევრნო, უნდა დაამტკიცოთ, რომ პოლონეთი რუსეთის იმპერიის ნაწილია და იმპერია ყოველთვის ზრუნავს ყველა ხალხისთვის, მაგრამ კარგად იცის, რომ იგი შექმნილია რუსის ხალხის ხანგრძლივის შრომითა (ცენტრელები და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

**თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს.**

**დიმშა** ერთს საათს ლაპარაკობს და მინისტრის დებულებებს სასტიკ კრიტიკას უწევს. იგი აღნიშნავს, რომ ხოლმსის გამოყოფის საკითხი რვაჯერ აღიძრა და რვაჯერვე უარჰყვეს საფუძვლიან განმარტების შემდეგ, იმისთანა ხალხმაც კი, როგორიც პობედონოსცევი, მურავიოვი, სიპიაგინი და სხვანი იყვნენო. ვარშავის ნამესტნიკები და გენერალ-გუბერნატორებიც კი წინააღმდეგნი არიან გამოყოფისა. დიმშა აღნიშნავს მთავრობის მიერ სტატისტიკის დამახინჯებას და ამტკიცებს, იქ პოლონელები კი არ სჩაგრავენ რუსებს, არამედ მთავრობა სულს ალევს პოლონელებს. ოთხმოცი წელიწადია პოლონელების დევნაშია მთავრობა. მაგრამ რა შეიძინა? კანონ-პროექტი სრულიად უსამართლოდ ართმევს უფლებებს პოლონეთის სამეფოს, პოლონელებს შეურაცხჰყოფს და ორ ხალხს ერთმანეთს გადაჰკიდებს. თუ სათათბირომ კანონ-პროექტი მოიწონა, ამით ძალმომრეობას გამოიჩენს, სიმართლე და ჭეშმარიტება კი პოლონელების მხარეს დარჩება (მემარცხენეთა ტაში).

**ეპისკოპოსი ევლოგი** დიმშას უპასუხებს. რუსების ტანჯვა-ვაება გვავალებს, მივხედოთ მათ და იქაურნი გაპოლონელებისაგან ვიხსნათო. პოლონეთის ავტონომიის სურვილი ღრმადა აქვთ გამჯდარი პოლონელთა მოღვაწეებს. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ხოლმშჩინაში მცხოვრებ რუსებს, რომ ისინი არ იქნებიან დამოკიდებულნი მომავალშიაც-კი პოლონელებზე. დაგვიანებისა გამო, ევლოგიმ სიტყვა შესწყვიტა.

დიმშა ეპისკოპოს ევლოგის უპასუხებს, საპირადოს გამო. შემდეგი სხდომა **26** ნოემბერს.

## სახელმწიფო საბჭო

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

საფინანსო კომისიის მოხსენებისამებრ, საბჭომ მიიღო რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი. სტარობრიადცებისა, და არყის გამოხდის სააქციზო გადასახდის შეცვლისა და სხვა წვრილმანი კანონ-პროექტები გადაეცა საკანონმდებლო მოსაზრებითა კომისიას.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საფინანსო კომისიის მოხსენებამ ბაქოს საგრადონაჩალნიკოს დაარსების თაობაზე. ზოგიერთი ახალ ელემენტს ჰხედავს ამ კანონ-პროექტში კანონ-პროექტი მიიღეს კომისიის რედაქციით და შეთანხმებულ კომისიას გადასცეს. შემდეგი სხდომა ორ დეკემბერს იქნება. განსახილველია, სხვათა შორის, უმაღლეს სასწავლებელთა და მარიავიტების კანონ-პროექტი.

# ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საქალაქო არჩევნები.** დღეს, **27** ნოემბერს. ტფილისში საქალაქო არჩევნები იწყება. დღეს არჩევნები მოხდება პირველ, მეორე და მესამე საარჩევნო უბნებში. არჩევნები დილის **10** საათზე დაიწყება. პირველ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა საარჩევნო კრება შრომის ბირჟის დარბაზში, მეორისა—ქალაქის გამგეობის სადგომში და მესამისა—ავლაბრის კლუბში.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტის** საკითხის გამო **25** ნოემბერს ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ვატაცის წარუდგნენ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის თავმჯდომარე თავ. გ. მ. თუმანოვი.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა შეადგინა სავანგებო ბარათი, რომელიც ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას შეეხება. ბ-ნ ჟურულს საეჭვოდ მიაჩნია მოსალოდნელ შემოსავალში შეტანილ $1^1/_2$ მილიონი მანეთი, რომელიც დარჩენილ გადასახადებისაგან უნდა შეგროვდეს და ამის გამო წინადადებას აძლევს საბჭოს, ეს რიცხვი სრულიად ამოშალოს ხარჯთ-აღრიცხვიდან. თხოულობს ამოშალოს იმ **1,800,000** მანეთისას, რომელიც პოლიციის შესანახად არის გადადებული. ბ-ნი ჟურული ბარათში ხარჯთ-აღრიცხვის სხვა შეცდომებსაც აღნიშნავს.

◆ **ნამესტნიკს წარუდგნენ 25** ნოემბერს კავკასიის საკავალერიო სათადარიგო დივიზიონის უფროსი პოლკოვნიკი ლლონტი და ქუთაისის გუბერნიის ჟანდართა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი გოლიცინსკი.

◆ **ქართულ სამეურნეო საზოგადოების** სამეურნეო კულტურების სექციამ მოიწვია ხეხილების გამსხვლელად შიო გედევანიშვილი, რომელსაც მემამულეების მოთხოვნით წავა სამუშაოდ. ვისაც მისი მიწვევა ჰსურს, უნდა ჩაეწეროს ქართულ სამეურნეო საზოგადოების ბიუროში, ბარიათინსკის ქუჩა № 5.

◆ **სალიტერატურო დილა.** დღეს, სახალხო თეატრში სალიტერატურო დილა გაიმართება. პირველად ა. ზ, ლვალაძე წაიკითხავს ქართულად ლექციას ამ სათაურით: „დაღესტანი და შამილი" და შემდეგ ქართველნი მწერალნი თავის ნაწერებს წაიკითხავენ. დასაწყისი ნაშუადღევის **1** საათზე.

◆ **1** დეკემბრიდან ტფილისში გამოვა სასულიერო ჟურნალი „კავკაზსკი ბლაგოვესტნიკი".

◆ **საქართველოს საეგზარხოსოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე** დეკანოზი პაშკევიჩი სოხუმის ოლქში გაემგზავრა სკოლების დასათვალიერებლად.

◆ **კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსად** ინჟენერი ჟაკი დაინიშნა.

◆ **ყალბის დოკუმენტით 2500 მილება.** რკინის გზის მემანქანის ქვრივს თამარა ივანეს ასულ გერსამიას რკინის გზიდან **2,500** მ. ჰქონდა მისაღები, როდესაც გერსამიას ქვრივი რკინის გზაზე მივიდა, უთხრეს, ფული უკვე წაიღო ვინმე ხაჩიტაშვილმა, რომელსაც თქვენგან მიცემული რწმუნება ჰქონდაო. გერსამიას ქვრივმა ეს ამბავი მაშინვე პოლიციას განუცხადა, რადგანაც რწმუნება არავისთვის არ მიუცია. გამოირკვა, რომ ფული მიუღია ნიკოლოზ ივანეს ძე ხაჩიტაშვილს, რომელსაც რწმუნების ქაღალდები მოტყუებით შეუმოწმებინებია ნოტარიუს ქართველიშვილისთვის. ხაჩიტაშვილი, რომელიც წინად „ტრომია"-ს ნომრებში იდგა, დაიმალა.

◆ **დეპეშათა სააგენტო იუწყება:** ამურის იქითა მხრის სარკინიგზო ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი **ბარონ ფონ-დერ-როპი** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსად დაინიშნა.

◆ **თავი მოიწამლა** კარბოლის სიმჟავით ვასილ პუზანკოვმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ **ქალაქის გამგეობა** დღემდე წელიწადში **96** მანეთს აძლევდა ბინის დასაქირავებლად. ტფ. გუბერნიის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს თვითეულ მოხელეს. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მისწერა, ეს ფული საკმარისი არ არის ბინის დასაქირავებლად, ამიტომ ბინები თქვენ თვითონ დაუქირავეთო. ეს საკითხი გამგეობამ ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას გადასცა განსახილველად, რომელმაც განმარტა, ქალაქი მოვალე არ არის ჟანდარმებს ბინები დაუქირავოს და ამიტომ საჭიროა ის ფულიც მოესპოთ, რომელსაც დღემდე ქალაქი აძლევდაო. ამ საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო გადასწყვეტავს.

◆ **შეწირულება.** თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილმა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას შესწირა ენციკლოპედია რუსული სასოფლო მეურნეობისა და სხვა წიგნები, ღირებული **150** მან.

◆ **25 ნოემბერს ტფილისში 30 უმასპინძლო შეიპყრეს.**

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ** მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტში თავის წარმომადგენლად ს. ნ. კაზახიშვილი აირჩია.

## სასწავლებლებში

◆ **სახალხო სკოლების დირექტორს** გორის მაზრის სოფლებ ზემო-ნიქოზისა, ქვემო ნიქოზისა და ზემო ხვითის მცხოვრებთ სთხოვეს ამ სოფლებში ერთკლასიანი სკოლების დაარსება.

## სასამართლო.

◆ **ტფ. სასამართლო პალატის სესია** ბ-ნ ლემერმანის თავმჯდომარეობით დღეს ერევანსა, გუმბრსა და ყარსს მიემგზავრება საქმეების გასარჩევად.

## სომეხთა ცხოვრება

◆ სომხის მწერალი ბ-ნი **ატრპეტი** ამ მოკლე ხანში წაიკითხავს ლექციებს: „სპარსელ პოეტი ქალთა პოეზია მეცხრე საუკუნიდან მეცხრამეტემდე". ლექციები იქნება სომხურად და რუსულად. ამ საყურადღებო ლექციებში აღწერილია სპარსელ ქალთა გულის ნადები, მათი დამონებული ყოფა-მდგომარეობა. ლექსების მასალა თითქმის სულ ძველ და ახალ ხელნაწერები დანაა ამოღებული, რომელიც ჯერ არც ერთს ენაზე არა ყოფილა გამოქვეყნებული. ლექციებს დაერთვის სურათების ჩვენება. როგორც გადმოგვცეს ბ-ნი ატრპეტი ამ ლექციებს მერე ცალკე წიგნადაც გამოსცემს რუსულად.

◆ **„დაშნაკცუთუნის" პარტიის საქმე,** როგორც ვწერდით, პეტერბურგში გაირჩევა მომავალ წლის **17** იანვარს. ამ დღისთვის პეტერბურგში მრავალი მოწმეა დაბარებული. მარტო სოლოლაკის რაიონიდან **80** მოწმეა გამოწვეული.

# ქუთაისის ამბები

კარგა ხანია ქალაქის საბჭოს სხდომას არ დავსწრებივარ და სამშაბათის კრებიდან რომ გამოვედი, ვთქვი— ნეტავი ფეხი მომტეხოდა და არ მოვსულიყავი მეთქი.

მკითხველს უთუოდ არ დავიწყებია ის გაჭირვება, რომელიც ამ წლის დასაწყისში განიცადა, როცა ქალაქის თავის ძებნა დაიწყო ი. ფანცხავას დაუმტკიცებლობის შემდეგ. ბოლოს როგორც იქნა ხმოსნები შეთანხმდენ და ქალაქის თავის სავარძელი ბ-მა ილია ჩიქოვანმა დაიჭირა. ჯერ, რასაკვირველია, ბატონი ჩიქოვანის მოღვაწეობის ანგარიშის გაწევა ნაადრევია, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში დიდი უნარი გამოიჩინა როგორც შრომისა, ისე თაოსნობისა. ამის უარს მის მოწინააღმდეგენიც ვერა ჰყოფენ და ეს გარემოება ავალებდა. და ავალებს ხმოსნებს ხელი შეუწყონ მის მოღვაწეთ და ქალაქის ცხოვრებას მცირე ვარგიანობა დაეტყოს.

ჯერ კიდევ ორი თვე არ არის მას აქეთ, რაც ქალაქის თავმა საბჭოში სესხის თაობაზე საკითხი აღძრა, იმ აზრით, რომ თვით ქალაქმა განახორციელოს ისეთი საქმეები, როგორიც არის წყლის გამოყვანა, ელექტრონით განათებისა და ტრამვაის გაყვანა. ქალაქის თავის წინადადება ხმოსნებს არაფერს ავალებდა—სესხის აღების პრინციპიალური თანხმობა მოგვეცით და როცა განვიზრახავთ ამა თუ იმ საქმის მოწყობას, დაწვრილებით პროექტსაც მაშინ წარმოგიდგენთ და თქვენს დაუმტკიცებლად არაფერი გაკეთდებაო.

ჯერ მაშინაც კი შეიმჩნევა ზოგიერთნი და იყო ისეთი წამი, რომ კაცს ეგონებოდა, რომ ხმოსნები ქალაქის თავის წინადადებას არ შეიწყნარებენო. მახსოვს, ხმოსანი ჩარკვიანი, რომელიც წინააღუდგა სესხის აღებას და ჩვეულებრივი მოსაზრება მოიყვანა, რომ სესხს მოხმარება უნდა, საქმეს—კაცები, ჩვენ კი არც ერთის უნარი გვაქვს და არც კაცები გვყავსო, მაგრამ ღვთისა და თქვენის წყალობით წინადადება მიღებულ იქმნა და მარტო ექვსი ხმიანი აღმოჩნდა სესხის წინააღმდეგი.

განვლო დრომ, ქალაქის გამგეობაში აღძრულა საკითხი ქალაქის უძრავი ქონების ხელმეორედ შეფასებისა და დასაბუთებული მოხსენება ამ საგნის შესახებ **22** ამ თვეს წაუკითხა ბ-ნმა ჩიქოვანმა ქალაქის საბჭოს.

მოხსენებიდან გავიგეთ, რომ უძრავ ქონებათა შეფასება ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ხდებოდა; რომ უკანასკნელი შეფასება მოხდარა **9** წლის წინად, რომ ქალაქის შეფასება შედარებით იმ შეფასებასთან, რომელნიც მთავრობის აგენტებს მოუხდენიათ ბევრად ნაკლებია რომ რაც უფრო დიდი მამულია, მით უფრო ნაკლებაა შეფასებული, რომ ხმოსნებისა და ზოგიერთ დიდ მემამულის ქონების ნამდვილი შემოსავლის მესამედი ნახევარია ნაჩვენები; ამისი მაგალითი მოხსენებაში მრავალი იყო მოყვანილი და დასასრულ სახაზინო პალატის შეფასება **370** ათასი მანეთით მეტი აღმოჩნდა ქალაქისაზე. ყოველივე ამას ქალაქის გამგეობა იმ ბუნებრივ დასკვნამდე მიუყვანია, რომ მამულები ხელ ახლად უნდა შეფასდეს და სათანადო გეგმაც წარუდგინა საბჭოს.

უკანასკნელი შეტოკდა, მაგრამ მცირე ხნით—დაიწყო კონცერტი—პირველი სკრიპკა ხელში აიღო ექიმმა ნაზაროვმა: ჩვენ შეფასება არაფერს მოგვცემს იმ ხარჯთან (**7000** მანეთი) შედარებით, რომელიც უნ და გავწიოთო. ხმოსანს ნაზაროვს მალე ციფრებით დაუმტკიცეს, რომ სცდება, მაგრამ იგი არ დაცხრა. ჩვენი მამულები დავალიანებულია— ჩვენ მათი პატრონები კი არა, უფროსი მოჯრები ვართო. შემოსავალი უფრო კლებულობს ვიდრე ემატება; იგივე ემართება ფასსაცაო და ამიტომ შეფასებაც მეტიაო, თითქო ქალაქის გამგეობის ერთად-ერთი სურვილი ზედ-მეტი შეფასება იყო და არა სამართლიანი განაწილება უძრავ ქონებაზე დადებული გადასახადისა.

მეორე სკრიპკა ხელში აიღო მეორე ექიმმა—ბ-ნმა ჩარკვიანმა. ის უფრო მომზადებული აღმოჩნდა—გავიგეთ, რომ მას პრივატ-დოცენტის ტოტომიანცის წიგნი წაუკითხავს; იქიდან ამოუკითხავს, რომ ინგლისში არსებობს ქალაქი გლაზგო, რომლის მცხოვრებთაც უძრავ ქონებაზე არაფერი არა აქვთ შეწერილი; ისიც გავიგეთ, რომ ქალაქის შემოსავალ წყაროთა შორის უძრავ ქონებათაგან შემოსული ფული მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს ქალაქის ხარჯთაღრიცხვაში. გავიგეთ, რომ წარსული ომისა და მოძრაობის შემდეგ სახელმწიფო რენტის კურსი ნაკლებია, ვიდრე ომამდის იყო, გავიგეთ, რომ ქუთაისის მამულები დავალიანებული და დატვირთულია გადასახადებით, ისიც გავიგეთ, რომ ხმ. ჩარკვიანი შეუძლებლად სცნობს მამულების შეფასებას, მაგრამ ის-კი ვერ გავიგეთ, რით ან როგორ აპირებს ბ-ნი ჩარკვიანი ქალაქის გაუმჯობესებას. სესხის აღების წინააღმდეგია, როცა სესხზე ლაპარაკი ისიც უნდა იცოდეს, რომ წლიური შემოსავალი ქალაქისა ბევრად ნაკლებია გასავალზე, გარდა ამის ქალაქის თავის მოხსენებამ გვამცნო რომ ზარალის დასაფარავად მთავრობამ სესხის აღებაზე უარი უთხრა ქალაქს. ვიქორებთ ამისთანა პირობებში რა სწადიან ექიმ ჩარკვიანს ვითარცა ხმოსანს. იქნება ამ კითხვის პასუხი გვამცნოს პატივცემულმა ხმოსანმა.

ბ-ნ ჩარკვიანს სხვებიც მიჰყვნენ და გაჩაღდა ქალაქის მამათა კონცერტი ხმოსანი გრ. გველესიანი, ‛გ. ქორქაშვილი და ექიმი ნასრაძე სცდილობდნენ ამ კონცერტში დისინანსი შეეტანათ, მაგრამ ამაოთ—ისე შეთანხმებული და შეხმატკბილებული აღმოჩნდა ხმოსნების ერთი ნაწილი, რომ ექიმ ქორქაშვილის განცხადებამაც-კი გასჭრა, რომ თვით მისი მამულის შემოსავალი ნაკლებათ იყო ნაჩვენები უკანასკნელი შეფასების დროს.

— „კენჭი, კენჭი"!.. დაიძახა ერთმა.

— „რა საჭიროა აქ კენჭი— უპასუხეს სხვებმა—დასამალავი აქ არა არის რაო".

— არა, ბატონო, კენჭი.—შეუერთდნენ პირველს სხვები.

ქალაქის თავი დაემორჩილა ასეთს გაუგებარ მოთხოვნილებას და **12** კაცმა წინააღმდეგ სამისა ქალაქის თავს და მის ამხანაგებს უთხრა შემდეგი:

„ქალაქის მოწყობის საქმე თუმცა ჩვენა გვაქვს ჩაბარებული, მაგრამ პირდაპირი მოვალე ჩვენსა და მოქალაქეთა წინაშე თქვენ ხართ— ამიტომ თავი იტეხეთ, რაც გინდათ ის მოისაზრეთ და დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნილებანი, ხოლო რაც შეეხება არა თუ გადასახადის მომატებას, არამედ უსამართლოთ და უგვანოთ შეფასებულ მამულების ხელ-მეორედ შეფასებას იმ აზრით, რომ გადასახადი ერთნაირად იყოს განაწილებული, ამის ნების დართვა არ შეგვიძლიან".

და ასეთი პასუხი გასცა ქალაქის გამგეობას არა ვაჭართაგან შემდგარმა, არამედ ინტელიგენტებით სავსე ქალაქის საბჭომ!

ტყვილად არ დაარქვა ბ-ნ ალ. ჩიქოვანმა **23** ნოემბრის ბჭობას „ისტორიული".

# სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენებურ პირველ-დაწყებით სკოლებში

2.

დიდაქტიურ მოთხოვნათა მიხედვით, ეჭვს გარეშეა ის აზრი, რომ სწავლება უნდა ექვემდებარებოდეს იმავე წესს, რა წესითაც ადამიანის სულიერ ძალთა განვითარება სწარმოებს; იგი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა თანდათანობითი, თვალსაჩინო; პირველად ყურადღება უფრო მარტივ საგანს უნდა მიექცეს, შემდეგ კი—რთულს; ჯერ მახლობელ და გარემომცველის ბუნების დაკვირვებაში უნდა ვარჯიშობდეს ბავშვი და მერე შორეულზე და განყენებულ საგნებზე. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მოთხოვნათაგან არც ერთი არ სრულდება ჩვენში შესაფერად და, პირ-იქით, ბევრიც სრულიად უყურადღებოდ რჩება, რასაც, სხვათა შორის, ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ხშირად მოწაფეებმა ქართული გრამატიკის ანბანიც არ იციან და მასწავლებელი რუსულს გრამატიკას ასწავლის, სამშობლო გეოგრაფიის არაფერი გაეგებათ და რუსეთის გეოგრაფიას სწავლობენ, სამშობლოს ისტორია ხომ არც კი გაუგონიათ და ვიღაც მათთვის წარმოუდგენელ სლოვიანებზე მოუთხრობენ. ნათქვამიდანაც ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ-დაწყებით სკოლების კურსში ხსენებულ საგნების შესწავლას მშობლიურს ენაზე და აი, სწორედ ამით ხელმძღვანელობენ ჩვენი გამოჩენილი პედაგოგები, როდესაც გვირ-

ჩვენ, რომ ყოველივე სასწავლო საგნის ელემენტარული ცოდნა მაინც მოწაფეებმა ქართულ ენაზე მიიღონ, რათა ამით გაუადვილდეთ იმავე მასალის რუსულად შესწავლა და შეგნება-შეთვისება ამ მიზნით ჩვენმა პედაგოგმა ბ-მა იაკ. ს. გოგებაშვილმა მოათავსა თავის „დედა ენის“ მეორე ნაწილში გეოგრაფიული, ისტორიული და საბუნების მეტყველო განყოფილებანი, ხოლო „ბუნების კარში“ კი ამ საგანთ უფრო სერიოზული ალაგიც დაუთმო; ამავე აზრით მიაქცია სოფლის მასწავლებელთა ყურადღება ჩვენმა ფრიად გამოცდილმა და განოქმულმა პედაგოგმა, ბ-მა ალ. ზეს. ჭიჭინაძემ, რომელმაც საუცხოვოდ შედგენილი „მოკლე საუბარი“ მიაწოდა მათ თავის „სანიმუშო პროგრამმით“.

მაგრამ ჩვენებურ სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა ამ ფრიად სასარგებლო ნაშრომს სრულებით არ იცნობს და თუ ვისმე წაუკითხავს, მის სწავლება არც კი უფიქრია.

ყოველივე საქმის დასაწყისი ძნელია და რომ შრიამა შევიმსუბუქოთ, საჭიროა პირველად მოწაფეთ ადვილად გასაგები და დასაკვირვებელი საგნები და მოვლენანი შევასწავლოთ, რათა შემდეგში მათთვის ადვილი შეიქნეს შორეულ და რთულ საგანთა და მოვლენათა შეთვისება წინდაწინვე გავარჯიშებულ წარმოდგენის საშუალებით. ვის არ შეუნიშნავს, რამდენ ტანჯვა-წვალებას განიცდის ჩვენებურ პირველ-დაწყებით სკოლის მე-IV განყოფილების მოწაფე რუსულს ენაზე გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნების მეტყველების და სხვა საგნების სწავლის დროსა, სადაც ეს საგნები იწყება! საბრალო ბავშვი ძალ-ღონეს არ იშურებს და თავგამოდებით სწავლობს მისთვის გაუგებარ ენაზე დაწერილს გეოგრაფიის, ისტორიის, ან საბუნების მეტყველო საგნების გაკვეთილს, და მხოლოდ იმას-ღა აღწევს, რომ სრულიად მექანიკურად იზეპირებს და მეორე დღეს მასწავლებლის გამოწვევის დროს თუთიყუშივით ჩაარაკრაკებს.

იმის მიუხედავად, რომ ამრიგად საგნის შესწავლა ყოვლად წარმოუდგენელია და მოუხერხებელიც, ასეთი სწავლება ბავშვის ფორმალურ მხარეებზედაც ძლიერ ცუდად მოქმედობს. მის ჩვილს ბუნებას რყვნის, ამახინჯებს; ბავშვი ეჩვევა უაზრობას, უღლუნგდება მეხსიერება და სხვა. ასე წარმოგვიდგება საკითხი, თუ მას პრინციპიალური თვალსაზრისით შევხედავთ, ხოლო თუ განვსჯით, რამდენად საღ გონების მოთხოვნილების მიხედვით შესაწყნარებელია ბავშვმა უცხო ერის წარსული, აწმყო იცოდეს, შეისწავლოს უცხო ქვეყნის გეოგრაფია და თავის სამშობლო მხარეს, საქართველოს კი, სრულიად ვერ იცნობდეს, არ იცოდეს მისი კულტურა, ისტორია და გეოგრაფია, საკითხი უფრო დიდ მნიშვნელოვნად დაგვესახება.

მაგრამ სავალალოც ის არის, რომ პედაგოგიურ სამართლიანობის მიზეზით, მოწაფეები ვერც ერთს ითვისებენ და მეორეს ხომ სრულიად მოკლებულნი არიან. ამრიგად, გამოდის, რომ ვასწავლით მხოლოდ იმიტომ, რომ ვასწავლოთ და არა იმ აზრით, ჩვენმა შრომამ სასარგებლო ნაყოფი გამოიღოს. როგორც მკითხველი ხედავს, ასე სწავლებას არა თუ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით ძლიერ მავნებელიც არის და რომ ეს სენი განიკურნოს საჭიროა ამთავითვე ვეცადოთ შესაფერი წამალი ვუპოვოთ. უმთავრესს ყურადღებას ამ შემთხვევაში სამშობლო გეოგრაფიის და ისტორიის სწავლება თხოულობს, ვინაიდან ეს საგნები ვარჯიშობისთვის ფრიად სასარგებლო მასალას წარმოადგენენ და მოწაფეს გამოსადეგ ცოდნასაც აძლევენ „როგორც პრაქტიკულის მხრით, აგრეთვე გონების ფორმალურ აღზრდისათვისაც“. „გეოგრაფია“, ამბობს, ალ. ჭიჭინაძე თავის წიგნაკში: „ავარჯიშებს ყმაწვილის მეხსიერებას, ავარჯიშებს მის გონებას სხვა და სხვა საგანთა და მოვლენათა დაკვირვებაში, მათ შედარებაში, მაშასადამე, წრთვნის მას აზროვნებაში და აჩვევს კანონიერად დასკვნის გამოყვანას. იგი აღუძრავს ხოლმე ყმაწვილს ესტეტიკურს გრძნობას, უწრთვნის ფანტაზიას, უღვიძებს სიბრძნის მოყვარეობას და უნერგავს სიყვარულს საზოგადოდ ბუნებისადმი და კერძოდ სამშობლო ქვეყნისადმი“.

Топ.

# თქვენ, ეი, გესმით!?

შემოდგომაა... გლოვ...ბს მიდამო:
მიწა სდუმს, ყუჩობს, ცა დაიჩრდილა;
ცრემლს აფრქვევს, სტირის სევდის სალამო,
ცრემლს აფრქვევს, სტირის ოცნების დილა.
შემოდგომაა... ტბის სარეცელი
აღარ ქანაობს... რთვილმა დაჰფარა,
ფირუზის ფერი ვარდის ფურცელი
ყინვამ დააზრო... ყინვამ მომპარა.
შემოდგომაა... ყინულის ცვარმა
მოთუთქა ვარდი, ყლორტზე გათოშა,
მკერდს შემახია სიგიჟის ქარმა
სიცოცხლის ნაშთი, სიცოცხლის დროშა.
თქვენ, ეი, გესმით? გესმით, მზე მინდა,
მზე ზღვის ფსკერიდან ცეცხლად ნაფეთქი
მზე... მზე მომეცით, გესმით? მზე წმინდა,
მზე... მზე მომეცით, მომეცით მეთქი!
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

***

გინახავს მართლა? გინახავს განა,
მთით მოსხლეტილი ცრემლების ღვარი?
გინახავს ანცი, ჭრელი ფარვანა
ლამპარის ცეცხლზე ფრთებ-გადამწვარი?
ჩემო შავ-თვალა! ჩემო გოგონა!
აი მეც სწორედ, სწორედ ასევე—
ფიქრით დამწვარი ფიქრების კონა
მყინვარის ქედზე გამოვამზევე,
მაგრამ ვერ შევსწვდი, დასჭკნა იმედი,
ვერ შევსწვდი ზე-არსს, თვით ზე სამყოფელს
და უიმედოთ, ვით ტბისა გედი,
მეც ვესალმები ამ წუთი-სოფელს.
თქვენ, ეი, გესმით? გესმით მზე მინდა,
მზე ზღვის ფსკერიდან ცეცხლად ნაფეთქი,
მზე... მზე მომეცით, გესმით, მზე წმინდა,
მზე... მზე მომეცით, მომეცით მეთქი!..
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

ა. გრიშაშვილი.

# დიანა

ვარსკვლავების სარეცელზე
სძინავს,
სძინავს ჩემს დიანა'.;
შუქი ჰფინავს
ბროლის ყელზე,
ანგელოსი უმღერს ნანას.
ცის ასულო,
წმიდა სულო,
რად გაექეც ქვეყნის ჭირსა;
რად არ მოსწმენდ თვალთა ცრემლებს
მგოსანს შენგნით ანატირსა.
ოჰ, დიანა! გაიღვიძე,
გადმოჰხედე კაცთა სოფელს;
დაუბრუნდი დედა-მიწას,
ნუ უარჰყოფ უარმყოფელს.

გ. ქუჩიშვილი.

# სათვისტომოს ცხოვრებიდან

(წერილი დორპატიდან).

წელს ჩვენი სათვისტომო, წინანდელთან შედარებით, დი უნარს იჩენს. პირველ კრებაზედვე დადგენილ იქმნა: გადაეხედათ და შეესწორებინათ სათვისტომოს ახალი წესდება. კრებამ ამისათვის აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც ეს წესდება განიხილა და საკმაო შესწორებებიც შეიტანა. მათ შორის აღვნიშნავ მხოლოდ ერთს, რომელსაც პრინციპიალური ხასიათიც აქვს და მეტი მნიშვნელობაც, ეს გახლავთ წესდების მე-11 მუხლი ქართულ ენაზე ლაპარაკის შესახებ.

ძველ წესდებაში ნათქვამი იყო: „კრებაზე ლაპარაკობენ იმ ენაზე, რომელიც უფრო გასაგებია უმრავლესობისათვის, უპირატესობა ეძლევა ქართულ ენას“.

ამ მუხლმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და კრებაც ორ ბანაკად გაიყო. პირველნი ამბობდნენ—„საჭიროა ეს მუხლი უცვლელად დარჩეს, რადგან, თუ ლაპარაკი მხოლოდ ქართულ ენაზე დაკანონდა, ამით ვაიძულებთ იმ პირთ, რომელთაც ეროვნული საქმე აინტერესებს, მაგრამ ქართული არ იციან;—სათვისტომოდან გავიდნენო“. მეორენი კი მოითხოვდნენ, რომ წესდებაში ხაზ-გასმით ყოფილიყო შეტანილი შემდეგი მუხლი: „სათვისტომოს წევრად მიიღება ყველა ქართულად მოლაპარაკე და ლაპარაკიც აუცილებლად სწარმოებს მხოლოდ სამშობლო ენაზე“.

„ის ერთი ან ორი წევრი, ამბობდნენ ესენი, „რომლებმაც ქართული ენა არ იციან, იმდენ სარგებლობას ვერ მოგვიტანენ, რამდენადაც გვავნებენ, რადგან, წარსულმა დაგვანახვა, რომ ამ თითო ოროლას ხათრის გულისათვის ყველანი უცხო ენაზე ვლაპარაკობდით და ამით ისედაც გადაგვარებას, უფრო ხელს ვუწყობდით, ქართველები, საუბედუროდ, მოკლებულნი ვართ ეროვნულ ეგოიზმსა და საკმარისია ერთი უცხო შემოიჭრას, ჩვენს წრეში, რომ ყველაფერი დაგვავიწყდეს და მისი ინტერესები დავიცვათ მხოლოდ! არც ერთ ეროვნულ სტუდენტთა ორგანიზაციაში (გერმანელები, პოლონელები, ლატიშები, უკრაინელები და სხვა), არ ისმება ამგვარი საკითხი, იქ ყველა ეს თავისთავად ცხადია, ყველამ იცის, რომ სამშობლო ენაზე უნდა ილაპარაკოს და იმსჯელოს, ეს არა ნორმალური მოვლენაა და ამიტომ თვით ის შენიშვნაც კი უნდა ამოიშალოს წესდებიდან, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში წევრს უცხო ენაზე ლაპარაკის ნებას აძლევს, რადგან ასეთ შემთხვევაში, შენიშვნა ყოველთვის ძირითად მუხლის ძალას ღებულობს და მუხლი კი შენიშვნად იქცევა, ე. ი. უფრო ხშირად ვურევთ რუსულში ქართულსაც, რის გამოც ვივიწყებთ მას და ცხოვრებაში გამოსულებს ან სულ არ გვესმის სამშობლო ენა, არ „საყველპურო“ ქართული ვიცით. აი ამ გადაგვარებას უნდა ვებრძოლოთ, რითაც კი შეგვიძლიაო“... დასასრულს დიდი უმრავლესობა მიემხრო ამ მეორე წინადადებას და, ამრიგად, დაკანონდა, სამშობლო ენაზე ლაპარაკი. მას შემდეგ რამდენიმე კრება გაიმართა და ეს მუხლიც სავსებით დაცულ იქმნა, რაიც ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენაც, რომ სათვისტომომ წელს ზოგიერთი ცნობილი პირი საპატიო წევრად აირჩიეს. ჯერ-ჯერობით (13 ნოემბრის კრებაზე), საპატიო წევრებად ერთხმად იქმნენ არჩეულნი პედაგოგი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი, რომლის „დედა-ენა“-ზე და „ბუნების კარ“-ზე აღზრდილა თვითეული ჩვენგანი და კარგად ცნობილი პუბლისტი ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე, რომლის ნაწერებს დიდის სიმპატიით და ყურადღებით ეპყრობა ქართველი ახალგაზდობა. კრება დაუსრულებელი ტაშის ცემითა და ოვაციებით მიეგება ორივე წინადადებას. არჩეულ იქმნენ აგრეთვე სათვისტომოს ყოფილი წევრები, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვის დორპატის ქართულ სათვისტომოს არსებობის საქმეში: კ. ფოცხვერაშვილი და რ. ნანეიშვილი.

---

სათვისტომოს გამგეობას აზრადა აქვს მოაწყოს რამდენიმე ლექცია და რეფერატი სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად. ერთი ამგვარი რეფერატი უკვე გაიმართა ამას წინად.

რეფერატი წაიკითხა აკ. პაპავამ შემდეგ თემაზე: „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის აღორძინების წინ“. ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდა მ. არსენიძე, კამათში მონაწილეობა სხვებმაც მიიღეს.

უმთავრესი ტეზისები: ა) დღეს ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა კრიზის განიცდის. ბ) ამისი უმთავრესი მიზეზია ქართველ ერის დაქსაქსვა (არჩილ ჯორჯაძისა და ნოე ჟორდანიას აზრი); გ) დღევანდელი ხანა გარდამავალია და, როგორც ასეთი, კრიზისის ხანაა დ) ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა დღეს აღორძინების წინ დგას, რადგან ასეთივე აღორძინება მოელის ქართველ ხალხს, რომელიც მოჰყვება ეროვნულ გაერთიანებას. ე) უკანასკნელი გაერთიანება ნაყოფი იქნება ეროვნულ ინტერესების შეგნებისა და ახალი სოციალურ ურთიერთობის განმტკიცებისა (ნ. ჟორდანიას და არჩ. ჯორჯაძის აზრი ამის შესახებ). ვ) ისტორიული მაგალითები: საბერძნეთის და საფრანგეთის რევოლუციები და

# ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან

III.

**პითაგორასი და მისი სკოლა.**

ჭეშმარიტების ძიებაში კაცობრიობა რაღაც იდუმალ გზით მიდის. ამ გზას ის ხან დაბურულს ტყეში შეჰყავს, სადაც შემეცნების სინათლე თითქმის სავსებით დაჩრდილულია, ხან გაშლილს ველზე გამოჰყავს, სადაც მას შორეული ჰორიზონტი ეშლება თვალწინ. კაცობრიობის გონებრივი განვითარება არ არის მუდმივ შეუჩერებელი წინსვლა „აბსოლუტურ ჭეშმარიტებისაკენ“, როგორც ეს რაციონალისტურს ოპტიმიზმს ჰგონია, რომელიც პროგრესის ძლევამოსილებაში ისე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ისტორიულ განვითარების დასაბამს—ბნელეთის სამეფოდ აღიარებს, ხოლო მის დასასრულს სინათლის და ბედნიერების სფეროდ. „ისტორიული განვითარება“ ისეთივე უცილებელი ფაქტია, როგორც ორგანიულ არსებათა განვითარება, „ისტორიული პროგრესი“ კი მეტის-მეტად ბუნდოვანი და პრობლემატიური ცნებაა. რასაკვირველია, თანამედროვე კაცობრიობა უფრო შესაბამებულია გარეშე პირობებთან, ის უფრო ძლიერია მატერიალურად, მდიდარი და მრავალმხრივი სულიერად. ის უფრო გავლენიან მეცნიერებით და ხელოვნებითაა აღჭურვილი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის უფრო ძვირფასიცაა, რომ ის ყოველ მხრივ უფრო ახლო სდგას ჭეშმარიტებასა, სიკეთესა და მშვენიერებასთან, ვიდრე განვლილი ეპოქანი. თეორეტიულ შემეცნების სფეროშიც კი, სადაც „თანდათანობითი პროგრესი“ ერთის შეხედვით ყველაზე უფრო აშკარადაა თვალსაჩინო, განსაცვიფრებელი თვალხილულების ხანას ხშირად უმეცრების და შეუგნებლობის მთელი საუკუნეები მოსდევს.

ოთხას-ხუთასი წლის წინად ჩვენი წელთ-აღრიცხვის დაწყებამდე, პითაგორასმა და მისმა მოსწავლეებმა აღმოაჩინეს რამოდენიმე მეტის მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, რომელიც დღეს ჩვენს ასტრონომიას და ფიზიოლოგიას უძევს საძირკვლად, მაგრამ ეს ჭეშმარიტებანი ჩქარა თვით მათ სამშობლოში სრულიად შემცდარმა შეხედულებებმა განდევნა და მიჩქმალა, შემდეგ საშუალო საუკუნეებმა ისინი ძლიერ საფუძვლიანად დაივიწყა. საჭირო შეიქმნა კოპერნიკის, ჰარვეის და გალლის გონებრივი ენერგია, რომ ერთხელ მოპოვებული ცოდნა ხელახლა გამხდარიყო მეცნიერების საბოლოო საკუთრებად.

მაგრამ იქ ამ ახალ მეცნიერთა შემოქმედებაში ეს ჭეშმარიტებანი ფხიზელს გამოკვლევებზეა დაფუძნებული. იქ ელინელ ბრძენთა სპეკულაციაში კი მათ გენიოსური წინადგრძნობის, ესტეტიურ აღფრთოვანების ბეჭედი აზის.

---

**პითაგორასი** კუნძულს სამოსზე დაიბადა დაახლოვებით 570 წელს ქრ. შ... ზღაპარმა და სიმართლემ იმ თავითვე ისეთს დახლართულს ქსელში გაახვია მისი პიროვნება, რომ გადაჭრით რამეს თქმა მისი ცხოვრების შესახებ დღეს თითქმის შეუძლებელია, ეჭვს გარეშეა მხოლოდ, რომ მან მთელი ახალგაზდობა ხანგრძლივ მოგზაურობაში გაატარა და, სხვათა შორის, ეგვიპტე ინახულა. აქ მან შეისწავლა მათემატიკა, რომელმაც შემდეგ მთელს მისს მსოფლიო მხედველობაზე გადამჭრელი გავლენა იქონია. სამშობლოში დაბრუნებისას ის ჩქარა ეგრედ წოდებულის „დიდს საბერძნეთში“ (ახლანდელს სიცილიაში) გადასახლდა. ქალაქ კროტონში მან დაარსა სარწმუნოებრივი ფილოსოფიური საზოგადოება, რომლის პრაქტიკულს მიზანს ზნეობრივი გაფაქიზება, ხოლო პოლიტიკურს არისტოკრატიის განმტკიცება შეადგენდა. გაძლიერებულმა დემოკრატიამ მეხუთე საუკუნის დასაწყისს გაანადგურა ეს საზოგადოება, ხოლო მისი წევრები დახოცა. გადმოცემის მიხედვით თვით მოძღვარიც მათ შორის მოჰყვა. პითაგორიული საზოგადოება ორფიულს სექტასთან შეუღლებული არა ერთხელ განახლებულა შემდეგ სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა ადგილას. თვით იდეამ კი წაუშლელი კვალი დააჩინა კაცობრიობის მთელს განვითარებას.

მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს იდეური გავლენა შთამომავლობაზე, ის პირადი გავლენა იყო, რომელიც პითაგორასმა თავისს თანამედროვეებზე იქონია. ამ მხრივ ის უფრო ზნეობრივს რეფორმატორსა და სარწმუნოების დამაარსებელს ჰგავს, ვიდრე თეორეტიული კვლევა-ძიებით გატაცებულს მეცნიერს.

ადამიანობის ისტორიას ორგვარი დიდბუნებოვანნი პიროვნებანი ამკობენ. ერთნი მათგანნი მნიშვნელოვანნი არიან თავისი ნაწარმოებით, ობიექტური შემოქმედებით. მათი პიროვნება, მათი მე ხშირად სრულიად მიმალულია იმ ძეგლების უკან, მათ რომ დაუტოვებიათ. მათს შემოქმედებას არ ატყვია საკუთარი გრძნობის ვნებათა ღელვის და ბედისწერის ბეჭედი. მათს ნაშრომში საგნობრივი ინტერესი შესამჩნევად სჭარბობს და ჩრდილავს პიროვნულს. ასეთია არისტოტელი, სპინოზა, კანტი და შემომქმედთა უმრავლესობა, სპეციალურ მეცნიერებათა ასპარეზზე რომ იღწვიან... მეორენი პირ-იქით თავისი შინაგანი პიროვნებით არიან კულტურულად ძვირფასნი. ობიექტურად ხელშესახებს ისინი ხშირად არაფერს სტოვებენ, მაგრამ მათი ცხოველმყოფელი ინდივიდუალობა მაინც საუკუნეთა განმავლობაში აღელვებს კაცობრიობას. მათ ნაყოფს კი მდიდარი პიროვნული ცხოვრების ბეჭედი აზის, ცხოვრებას, რომელსაც ტანჯვა და სიხარული, სიყვარული და სიძულვილი განუცდია. ასეთია აღორძინების დროის ადამიანები და ზოგიერთი დიდი მხატვარნი და მგოსანნი. პითაგორასიც ამ უკანასკნელს ჯგუფს ეკუთვნის.

ჩვენი დღევანდელი კულტურა არსებითად უპიროვნო და საგნობრივი ხასიათისაა. ჩვენ ძლიერნი ვართ ობიექტური კულტურის ასპარეზზე, მაგრამ ღარიბნი კეთილშობილი ადამიანების სფეროში. ჩვენი წიგნთ-საცავები სავსეა წიგნებით, ჩვენი მუზეუმები—სურათებით, ჩვენი ქალაქები—სხვა და სხვა სტილის შენობებით. მაგრამ ჩვენ ხშირად გვაკლია ის ინტიმური, იდუმალი, პირადი დამოკიდებულება მეცნიერებასა და ხელოვნებასთან, რომელიც ასე დამახასიათებელთა ბერძნებისა და აღორძინების დროის ადამიანისთვის. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ პიროვნების კულტურა გვაკლია.

პითაგორასის და მის მიერ დაარსებული კავშირის უპირველეს მიზანს სწორედ შინაგანი კულტურის განვითარება შეადგენდა. ამიტომ ამ კავშირში მხოლოდ რჩეულნი, უზენაესს მიზნისთვის მოწოდებულნი შედიოდენ. მათს ყოველდღიურს სამეცადინოს კი მუსიკა და მათემატიკა შეადგენდა.

სული პითაგორელთა რწმენით სხეულის რიცხვისებური ჰარმონიაა. მოწოდებული პიროვნება ზნეობრივად ვალდებულია უწინარესს ყოვლისა ეს მის არსებაში დამალული ჰარმონია განავითაროს. მუსიკალური და მათემატიკური განათლების, ეთიურ გაწვრთნის, რელიგიური მისტერიის შემწეობით მან უნდა მიაღწიოს იმ სიმაღლეს, ამ უკვდავ და წარუვალ პრინციპს რომ შეეფერება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სულის განთავისუფლება „დაბადებათა ჩარხის“ ტრიალისა, ანუ „მტანჯველი მოგზაურობისაგან“, მისი დაახლოვება უზენაესთან, მისი დაბრუნება ზეციურს სამშობლოში.

სული წარმოშობით ღვთაებრივია, მის უდიდეს შეჩვენებას იძულებული მოგზაურობა, მეტემფსიხოზა წარმოადგენს. ის ყოველგვარ ცხოველთა და მცენარეთა სხეულში შედის. ის აკეთებს ერთნაირს წრეს, ერთნაირს ჩარხს, რომლის ტრიალს დასასრული არ ექნება, თუ ადამიანმა თავისი ზნეობრივი ძალ-ღონით არ შეაჩერა ის. გადმოცემის მიხედვით პითაგორას ბევრი გასაოცარი რამ ახსოვდა თავის ლირსეულ ცხოვრებიდან; როცა მისი სული ლოტოსის, ლომის, შევარდენის და სხვა ამ გვარ არსებათა სხეულში იყო განხორციელებული. ნაცემი ძაღლის ყმუილმა ერთხელ ისე აუჩუყა გული, რომ მან წამოიძახა: „ნუ სცემთ მაგ ძაღლს: მაგ ყმუილში ჩემი მიცვალებული მეგობარის ხმა მესმისო“!

ეჭვი არ არის, საბერძნეთის ნიადაგზე ასეთი რწმენა ვერ აღმოცენდებოდა. პითაგორასმა ის ალბად ეგვიპტედან გადმოიღო ან შორეულ ინდოეთიდან ისესხა. მართალია, თვით ის ამ „ზღაპართა ქვეყანაში“ არ ყოფილა, მაგრამ სწორედ მის დროს ინდოეთის დასავლეთი ნაწილი და მცირე აზიის საბერძნეთი რამოდენიმე ხნის განმავლობაში სპარსეთის ბრძანებელს ემორჩილებოდა და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მათ შორის სულიერი ურთიერთობა და შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლა დამკვიდრებული იყო.

მათი გავლენა ლიტერატურაზე. დასკვნა. კამათი კარგა ხანს გაგრძელდა და ყველანი ნასიამოვნები დაიშალნენ.

სათვისტომოს აზრადა აქვს ამ ხანებში მოაწყოს შიუკაშვილის „სიმახინჯის“ გმირის, სონას გასამართლება და ხალიტერატურო საღამო. კ—ხ.

## სამეგრელოს სახალხო სკოლების დაქვეითების მიზეზი.

კოკაშა შიგან რაცა ხდგას, იგივე წარმოდინდების.

ამას წინად „სახალხო გაზეთში“ (№№ 448 და 451) ბ-ნმა ე. ალშიბაიამ ღრმად სამწუხარო სურათი დაგვიხატა თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს სამეგრელოში ორივე ტიპის სახალხო სკოლა. სამეგრელოში სამინისტრო და საეკლესიო სკოლები გადაგვარების გზაზე სდგანან, „უფრო ამზადებენ მოსე მწერლებს და ათასგვარ ჩარჩით-დალალებს, ვიდრე წერა-კითხვის მცოდნე შეგნებულ საზოგადოების წევრთ“.

სამწუხარო, მაგრამ ნამდვილი ჭეშმარიტებაა, შეიძლება მეტიც ითქვას; სამეგრელოს დღევანდელი სკოლა ართმევს ოჯახს მშრომელ წევრს, ოჯახის არსებობისთვის საჭირო მუშაკს დასამი-ოთხი წლის შემდეგ უბრუნებს მას, როგორც აქ იტყვიან ხოლმე, „გააზნაურებულ ჩიტი-რეკიას“, რომლის ახლოგაზდა მკლავები მუშაობას გადაჩვეულია, ხოლო გონებრივი ავლა-დიდება სახელის და გვარის სხელის მოწერით განისაზღვრება. არ იცის სამშობლო, ქართულ ენა, რადგანაც ან ოდნავ, ან სულ არ უსწავლია; არც რუსული იცის, რადგანაც თავის თავად ცხადია, რომ სამშობლო ენაზე განუვითარებელი ბავშვი იმ მცირე ხნის განმავლობაში რომელიც პირველ დაწყებით სკოლის კურს შეადგენს, საკმაოდ ვერ შეითვისებს იმ ადამიანის ენა-ლაპარაკს, რომელიც თავის დღეში თვალით არ უნახავს. ხოლო ენის ცოდნის გარეშე, რასაკვირველია, შეუძლებელია როგორც რაიმე სამოსწავლო საგნის შესწავლა, აგრეთვე თუნდ ძირითად განათლების შეძენა.

ამ უკულმართობის ერთ-ერთს მიზეზად უმეტესობას მიაჩნია დღეს ჩვენში გამეფებული რეჟიმი მისი თანდაყოლილი გარუსების პოლიტიკანობითურთ. მაგრამ ასეთი ახსნა სამეგრელოს სკოლის დაქვეითება-გადაგვარებისა, ჩემის აზრით, დიდად გაზვიადებულია. ეს მცონარა ღარიბის თავის მართლებას მოგვაგონებს: „რა ვქნა, შენი ჭირიმე, ბედი და ბარაქა არა მწყალობსო!“ რეჟიმი, ფანტასტიურ ბედ-იღბალისავით, ისეთი მოვლენაა ცხოვრებაში, რომელსაც ყველაფერი შეგიძლია გადააბრალო— ავიც და კარგიც. თქმა მეტია, რომ დირექციის და ეგრედ წოდებულ საეპარქიო საბჭოს აგენტები, განსაკუთრებით პირველნი, არამც თუ არ თხოულობენ მასწავლებლებისაგან რომ სამშობლო, ქართული ენა ჯეროვნად იყოს დაყენებული სკოლებში,-პირიქით, თვალებს ხუჭავენ ამ ენის არსებობასა თუ არ-არსებობაზე და ხანდისხან უსიტყვო, მაგრამ მეტყველ საშუალებით ცხად უპირატესობას აძლევენ იმ მასწავლებლებს, რომელთაც ნებსით თუ უნებლიედ „ავიწყდებათ“ ქართულ ენის სწავლება. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ დღეს სამეგრელოში არავინ უკრძალავს მასწავლებლებს ქართულ ენის სწავლებას, თუ სადმე არსებობს ისეთი მადლიანი მასწავლებელი, რომ „არც მწვადი დასწვას და არც შამფური“,—არც სამშობლო ენა დაივიწყოს და არც სხვა სასწავლო საგნების დაქვეითება დააბრალოს ამ ენის სწავლებისთვის საჭირო დროს და შრომას. თავისუფალ დროს რაც გინდა ასწავლე, ოღონდ სავალდებულო პროგრამა კი შეასრულე—ასეთია დღეს სამოსწავლო მთავრობის მოხელეების აზრი და, მაშასადამე, მთელი საკითხი სამშობლო ენის სწავლის შესახებ მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რა გუნებაზეა მასწავლებელი, რაში იხატება მისი მრწამსი და რამდენი „თავისუფალი“ დრო რჩება მას სავალდებულო პროგრამის გარეშე. ერთის სიტყვით, რეჟიმი ამ შემთხვევაში მხოლოდ დოს და მარილის საბაბია, ნამდვილ მიზეზთა ნამცეცია, ხოლო უმთავრესი როლი თვით მასწავლებელს და პირად მის ნდობა-სურვილს ეკუთვნის.

როცა ამას ვამბობ, სახეში მაქვს, რომ იყო დრო, როცა ჩვენს სკოლის ცხოვრებაში აწინდელზე გაცილებით უარესი რეჟიმი არსებობდა. ეს იყო ოთხმოციან წლებში. საეკლესიო სკოლა ის იყო იბადებოდა. სამინისტრო სკოლებში კი, კერძოდ სამეგრელოში, ისე სდევნიდნენ ქართულ ენას, რომ დირექციის მოხელენი მოსწავლეთა ტომრაკებსაც-კი ჩხრეკდნენ, ქართული წიგნი ხომ არა აქვთო, და ვაი იმ მასწავლებელს, ვისაც სკოლაში ქართულ წიგნს უპოვნიდნენ. მოწაფეებს რევიზიის დროს ხან იატაკის ქვეშ და ხან სად უხდებოდათ ქართულ წიგნების გადაჩქმალვა. პირად მოწმე ვიყავი ასეთის მოვლენისა და ის დრო ვრცლად, მოთხრობის სახით დავახასიათე 1908 წელს გაზ. „ამირანში“ (16 აგვ., № 135, ფელეტ. „რევიზია“). იქ მოთხრობილი ამბავი ნამდვილი, მაგრამ თუ „ნამდვილისებური“ აწერია, ეს მხოლოდ იმ დროის საცენზურო პირობებისა გამო. საკმარისი იყო უბრალო ეჭვი, რომ შენიშვნა, მუქარა, გადაყვანა და ათასგვარი ვაი-ვაგლახი დასტეხოდა თავზედ საბრალო მასწავლებელს.

მაგრამ ამისდა მიუხედავად იმ დროს სამეგრელოს ზოგიერთ სკოლებში ქართულ ენას წარჩინებულად ასწავლიდნენ. არამც თუ „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“ გადიოდნენ, სხვა წიგნებსაც კი უკითხავდნენ და შინ საკითხავად აძლევდნენ. ვამბობ: ზოგიერთ სკოლებში მეთქი,—რასაკვირველია, იმ სკოლებში, სადაც შეგნებული და სამშობლო ენის მოყვარული მასწავლებლები იყვნენ. დღეს სამშობლო ენის ასეთი დევნა არამც თუ შეუძლებელია, დაუჯერებელიცაა. სამოსწავლო მთავრობის წარმომადგენელნი მხოლოდ არ თხოულობენ სამშობლო ენის სწავლებას, ყურადღებას არ აქცევენ მის ავ-კარგიანობას და ზოგიერთ შეუგნებელ მასწავლებლებს, რომელთაც „სავალდებულო პროგრამის“ გარეშე თითის განძრევაც კი ეზარებათ, ორაზროვან დუმილით აქეზებენ დედა-ენის განდევნაში. და აი ამ დუმილის წყალობით სამეგრელოს ზოგიერთ სკოლებში ქართული ენა „თავისუფალი“ საგანი გახდა, რომელიც შეგიძლიან ასწავლონ და შეგიძლიან ზოგიერთებში სულაც არ არსებობს და ერთობ აქაურ სკოლები დაქვეითდა, დაეცა და თანდათან ისპობა.

ცხადია, უმთავრესი მიზეზი ჩვენს სკოლებში სამშობლო ენის დაცემა-ამაღლებისა მასწავლებელთა შეგნება—შეუგნებლობაა. უნდათ—ასწავლიან,—უნდათ—არა, რეჟიმი და ცირკულიარების ჰანგი მხოლოდ ზარმაცებს თუ გაამხნევებს, თორემ უნიჭოებს ვერსაოდეს ვერ შთაბერავს ზეგარდმო მადლსა. რომ სხვა გაანათლო და სხვას ასწავლო, ჯერ თვითონ უნდა მიიღო განათლება და ასწავლო. „არარაისაგან არა რაი წარმოსდგებისო“. რა ადვილია მასწავლებლის ხარისხზე ეგზამენის დაჭერა და რა გზები არსებობს მასწავლებლობის მოწმობის მისაღებად, ეს ვგონებ, ყველამ იცის და ამაზე სიტყვის გაჭიანურება მეტია. მაგრამ ფაქტიურად სად ღებულობენ განათლებას სამეგრელოს სკოლების დღევანდელი მასწავლებლები, ეს კი საჭიროა აღვნიშნოთ საქმის ვითარების ასახსნელად.

ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი, ფოთის სამოქალაქო სასწავლებელი, კიწიის და ბანძას ორკლასიანი სკოლები და სენაკის სასულიერო სასწავლებელი —აი ის ქარხნები, რომელნიც დღეს უმზადებენ მასწავლებლებს სამეგრელოს პირველ-დაწყებით სკოლებს. აქა-იქ, სხვა ხელსაყრელ ადგილების შოვნამდის, გამოჩნდებიან ხოლმე სასულიერო სემინარიაში და ხონის სასოფლო სემინარიაში კურს დამთავრებულნი, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევითი და იშვიათი გამონაკლისია, რომ მაზე ლაპარაკი მეტია. ახლი.

(დასასრული იქნება)

## წერილი ქვაბლიანიდან

**გაშლის ხის ავადმყოფობა.**

**ქვაბლიანი** (ახალციხის მაზრა). ქვაბლიანი არის სამი საბოქაულო 76 სოფელით და 23000 მცხოვრებით თუმცა ბუნებით მდიდარია, მაგრამ უმიწობისა გამო, დიდ სიღარიბეს განიცდის; გლეხს ყოველ ფეხის გადადგმაზე გადასახადი აქვს, რადგანაც ხუთი ნაწილი საბატონოა და ერთი ნაწილი სახელმწიფოსი. ავისუფლი საძოვარი საქონლისთვის გლეხს არა აქვს, რისთვისაც გლეხები მუდამ წუწუნებენ, ბევრს გვახდევინებენო და საქონლის მოშენებას უფრთხიან: მეურნეობისთვის ხომ მიწა ძალიან ცოტა აქვთ. მაგალითად, სოფელ უდეს აქვს 730 დესეტინა, აქედან 500 დეს. სახნავ-სათესი, 70 დეს. ბაღები, 14 დეს. საბოსტნე ადგილი, 16 დესეტინაზე სოფელია გაშენებული, 100 დეს. ფვარგისი ადგილია სადაც საქონელი ფეხსაც ვერ მოიკიდებს, და საძოვრად აქვს დაფანტულად 30 დეს. ს. უდეში კი სცხოვრობს 2500 სულზე მეტი. ცხადია, იქ სიღარიბე იქნება გამეფებული.

ქვაბლიანში ბარის სოფლის გლეხობა მისდევს მებაღეობას, მაგრამ, საუბედუროდ, ბაღებმაც გვიმტყუნა. ერთნაირი თეთრი მატლი უჩნდება კანში, რაც ხეებს ძირიანად ახმობს. პატრონი კი არავინ არის. წარსულ კვირას ჩვენმა ბოქაულმა ისაგე ხიმშიაშვილმა—აჭარსკიმ მოიწვია თავის სახლში ქვაბლიანის კარგი მებაღეები და გამართა კრება. ბ. ბოქაულმა სთქვა: დღეიდან მსურს, რომ თქვენის დახმარებით ხელი შევუწყოთ ქვაბლიანში ბაღოსნობის საქმეს; თქვენვე ჰხედავთ, რომ ჩვენმა მებაღეობამ წინ წასვლის მაგივრად უკან დაიწია. მე ამჩნევად, ჩვენ ხეების გახმობას ვაწერთ, როგორც თვითეულმა თქვენგანმა დაასახელა ხის ავათმყოფობა, ზოგმა მატლი და ბუზი რომელიც კვერცხსა სდებს ხის კანში, საიდანაც შემდეგ ჩნდება მატლი; თქვენ ხის ავადმყოფობისათვის მიგიგნიათ და საშუალებაზე კი არაფერს ფიქრობთ. ამისთვის თვითეულს თქვენგანს ვავალებ, რაც შეიძლება მალე შემატყობინოთ: 1) რომელ ხესა აქვს ავადმყოფობა; 2) რომელ თვეში ამჩნევთ ამას; 3) რა ნიშნები აქვს; 4) თქვენი აზრი ჭანჭურის ხეების ისე უცბად გახმობაზე, რამაც ერთობ ბოლო მოუღო წელს. ამის შემდეგ ვფიქრობ, მთავრობას ვთხოვოთ ერთი კარგი განმოცდილი მებაღე, რომელიც განგვიმარტავდა შესაფერ წამლობასა. თუ ასე არ მოვიქცევით, უარეს დღეში ჩავცვივდებით!..

დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს რჩევისათვის.

ქვაბლიანი ბუდე იყო ქურდ-ავაზაკთა. ზემოხსენებულმა ბოქაულმა მთლად მოსპო ძარცვა-გლეჯა.

ს. არლის კასთავლზე ქვაბლიანის წყალზე, მისივე თაოსნობით, გაკეთდა ხიდი, რითაც მთელი ფოცხოვი და ქვაბლიანი სარგებლობს, განზრახვა აქვთ გააკეთონ კიდევ ორი ხიდი ს. უდის გასავალზე და ს. კახარეთის გასავალზე, რაც ძალიან ხელს შეუწყობს გლეხის ნამუშევარის გასაღებას.

მისივე თაოსნობით ამ სოფელში მშვენიერი გზა გაიყვანეს. მანვე დიდი ენერგია გამოიჩინა სახელმწიფო გადასახადების აკრეფაში, დარჩენილი იყო 8—10 წლისა, რომელიც სულ მოჰკრიფა. **ილდუ.**

## ავაზაკობას ბოლო არ ელება

არა ერთხელ აღგვინიშნავთ ჩვენს გაზეთებში, რომ საერთოდ მთელს საქართველოში, და კერძოდ კახეთშიაც, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, სხვა, სულისა და ხორცის შემაწუხებელ და გამამწარებელ პირობებთან, საშინლად გავრცელდა თავდასხმა, ხოცვა, ფულის მოთხოვნა და ათასგვარი შანტაჟი. გაფირალებული, ტყედ გასული „თავისუფლების მებრძოლნი“ თავზარსა სცემენ, უიარაღო და უმწეოდ დარჩენილ ხალხს და ხულამდე ხელს აწვდიან. თითქმის ისე დღე არ გავა, რომ რომელიმე სოფელში არ შეუცვივდნენ ეს გაკადნიერებული და თავზე ხელ-აღებული „გმირები“ ტყე-ღრეისა, და წვითა და დაგვით მონაგარ ორიოდე გროშის გულისთვის სიცოცხლეს არ გამოასალმონ მშვიდობიანი ადამიანი და მისი ცოლ-შვილი სიმშილის ანაბარად არ დასტოვონ. ამ პირდაპირ მსხვერპლთა გარდა, მათს აღმაშფოთებელ მოქმედებას, არაპირდაპირი ვნებაც ბევრი მოაქვს. ტყე-ღრეში გახიზნულნი, იგინი უვარდებიან საბრალო გლეხის ოჯახს, თავიდან ფეხამდე შეარაღებულნი და გამასპინძლებას სთხოვენ“. ათი-თხუთმეტი იარაღში ჩამჯდარი ყაჩაღი, თავს რომ წაადგება უიარაღო ოჯახს, ხშირად უკაცურს, რა მეტი ძალა აქვთ, რომ პატივს არა სცემენ... უკანასკნელ ლუკმა პურს შეუჭამენ ეს ვაჟბატონები და თავის გზას გაუდგებიან...

ყოვლად უდანაშაულო, შიშისაგან დაფეთხალი და გულგადმობრუნებული ოჯახი კი, საცოდავ მდგომარეობაში ვარდება და „ყაჩაღების“ შენახვისა და პატრონობისათვის პასუხის-გებაში ეძლევა. ამას წინად სოფ. გიორგიწმინდაში (გარე-კახეთი) ასეთი შემზარავი ამბავი მომხდარა. ეკლესიიდან ჯვრის წერის დროს საიდანაც გამოჩენილან თავისუფლებისა და ადამიანის მოსისხლე მტერნი, ეკლესიიდან გამოუყვანიათ ერთი მაყარი და იქვე, ხალხის თვალწინ, დაუხვრეტიათ. განა ამაზე შორს კიდევ წავა სიმხეცე! ხალხს შიშისაგან ენა ჩასცვივნია, დაჰვიწყებიათ ჯვარის წერაც, ქორწილიც და გულის ხეთქებით წასულ წამოსულან. ადმინისტრაცია დასდევნებია ყაჩაღებს. მეორე სოფელში მიუტანია გუმანი. სადაც ჰგულებიათ, იქ ვეღარ მიუსწრიათ. ხოლო იმ ოჯახის დიასახლისები კი სართიჭალის ბოქაულთან გაუსტუმრებიათ, როგორც „ყაჩაღთა მფარველნი“.

ეს მაგალითიც საკმარისად ჰმოწმობს თუ რა საშინელ მოჯადოებულს წრეშია მომწყვდეული ჩვენი სოფელი, სადაც ასე თავისუფლად ნავარდობენ შუბლის ძარღვ გაწყვეტილი ფირალები.

აჭაური.

## რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები.

24 ნოემბერი.

**სტამბოლი.** პორტამ ყველა ელჩებს დაავალა, სახელმწიფოებს დაჟი-

ნებით მოსთხოვეთ სპარსეთის დამოუკიდებლობის ხელუხლებლობაო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. კერზონმა სპარსეთის საქმეების თაო-

---

აღმოსავლეთისვე დაღს ატარებს პითაგორელთა და ორფიელთა მეორე საზიარო რწმენა, ჯოჯოხეთის იდეას და იმ ქვეყნიურს ტანჯვასთან რომ არის შეკავშირებული კლასიური დროის ერთს მარმარილოს რელიეფზე, რომელიც ახლა ნეაპოლის მუზეუმში იმყოფება, ეს რწმენა განსაცვიფრებელი მელანქოლიითაა გამოხატული. რელიეფი წარმოადგენს ორფეოსს, მისს ცოლს ევრიდიკეს და ჯოჯოხეთის ღმერთს ჰერმესს. წარმტაცი სიმღერის ჯილდოთ ჰერმესმა ორფეოსს ნება დართო ქვესკნელიდან გაიყვანოს თავისი მშვენიერი მეუღლე. ქმარს ნაბრძანები აქვს არ მოიხედოს ევრიდიკესენ, სანამ ჰერმესის საბრძანებელიდან არ გავლენ. მაგრამ ის ვერ სძლევს დაუცხრომელს ლტოლვას და შეხედავს ქალს. ჰერმესი უახლოვდება მათ და ევრიდიკეს ხელს სჰკიდებს, რათა მეუღლეს ერთმანეთს საბოლოოდ დააშოროს. ევრიდიკე ორფეოსის მხრებზე ეყრდნობა და გამოუთქმელად ნაზი, დადინჯებული გამომეტყველებით ეთხოვება საყვარელს არსებას..

პითაგორელთა და ორფიელთა რწმენა იმ ქვეყნიური ცხოვრებისადმი და მის მიერ გამოწვეული სევდა ასე უბრალოდ და ასე დამაჯერებლად თითქმის არსად გამოხატულა. პითაგორელთა ფილოსოფიური სპეკულაცია ძლიერი ფანტაზიის და გრძნობის ნაყოფია. მას აკლია სიფხიზლე და გონიერი ზომიერება, მაგრამ სამაგიეროდ ის გამსჭვალულია ცხოველ ლტოლვით ჰარმონიულისა და მშვენიერებისადმი. არა რაიმე განსაზღვრული მატერია, არა წყალი, ჰაერი ან ენით გამოუთქმელი რაღაც („აპაირონი“) არამედ წმიდა ფორმალური პრინციპი— რიცხვი არის ძირითადი არსი, რომელზედაც ყოველი მოვლენა და საგანია დაფუძნებული. მთელი სამყარო, ცალკე ბუნებრივი მოვლენა, თვით სულიერი და ზნეობრივი თვისებაც კი არსებითად რიცხვი და რიცხვისებული ჰარმონიაა. არსებობის სათავეში სდგას „მონას“ (ერთი) სიკეთის პრინციპი: მისი წინააღმდეგობაა „დუას“ (ორი)—ბოროტების დასაბამი. პირველის მხარეზე სდგას განსაზღვრულება, მამაკაცობრივობა, სინათლე და სხ., მეორეს მხარეზე განუსაზღვრელობა, დედაკაცობრივობა, სიბნელე და სხ.. მეგობრობა და სიყვარული არსებითად რვა არის; ჯანმრთელობა შვიდი; სამართლიანობა კვადრატული რიცხვი. ათი—წმინდა რიცხვია, ალბად მიტომ, რომ ის პირველ ოთხ უნაკლულო რიცხვთა ჯამია...

ბავშურს შთაბეჭდილებას სტოვებს დღეს ეს უცნაური მათემატიკური მისტიკა. მის გასაგებად და გასამართლებლად შემქნელთა ფსიხოლოგიის გათვალისწინებაა საჭირო. პირველყოფილი აზროვნება ვერ ჰხედავს ნათლად განსხვავებას ფორმასა და შინაარსს შორის. ის ხშირად საგანთა არსებად აღიარებს იმას, რაც სახე და მხოლოდ მათი გარეგნული დამოკიდებულებაა. გარეგნული ფორმის გადაჭარბებული დაფასება განსაკუთრებით დამახასიათებელია ელინურ ეროვნული სულისთვის, რომელიც სწორედ ფორმალურს სისრულეს და მშვენიერებას აღჰერთებდა. ფორმის შეგნების ნიჭი ყოველს ბერძენს დაბადებით ჰქონდა თანდაყოლილი, პითაგორელებში კი ის ამას გარდა მათმა მუსიკალურმა ვარჯიშობამ განავითარა. პითაგორასმა აღმოაჩინა, რომ სიმის სიგრძესა და ტონის სიმაღლეს შორის გარკვეული მათემატიკური ურთიერთობა არსებობს. ამ აღმოჩენამ განცვიფრებაში მიიყვანა როგორც თვით მოძღვარი, ისე მისი მოწაფეები. მუსიკალურ ტონს, ამ ყველაზედ იდუმალს და მიუწდომელს მოვლენას, საფუძვლად რიცხვი და რიცხვისებული ურთიერთობა ჰქონია. მათემატიკურ ენას შესძლებია ამ ნაზ და უცნაურ განცდათა გადმოცემა, რომელთ გადმოსაცემად ყოველი სხვა ენა ღარიბი და უსუსურია. და თუ ეს ასეა, თუ სინამდვილის უურთულესი სფერო მართლაც რიცხვთა ურთიერთობაა, სხვა უფრო უბრალო და ხელშესახები მოვლენანი რაღა იქმნება, თუ არ იგივე რიცხვი და მათემატიკური ჰარმონია?

—

ვარსკვლავთ მეცნიერებაში პითაგორელებმა უზარმაზარი ნაბიჯი გადადგეს წინ იონიელ ნატურ ფილოსოფოსებთან შედარებით. დედამიწა არ არის არც ბრტყელი ფირფიტა, არც ცილინდრი: ის ბურთივით მრგვალი სფერიული სხეულია. ის სამყაროს შუაგულში კი არ იმყოფება, არამედ ტრიალებს „მსოფლიო ცეცხლის“, „კოსმიური კერის“ გარშემო. ამავე „მსოფლიო ცეცხლის“ გარშემო მიმოიქცევიან სხვა ციურნი სხეულნიც: მზე, მთვარე და ხუთი ცდომილი ვარსკვლავი (ოტარიდი, ასპიროზი, მარიხი, იუპიტერი და სატურნი). ამ საერთო ჯამს ერთი აკლია წმინდა რიცხვამდე, ე. ი. ათამდე. მაშასადამე, არსებობს კიდევ ერთი სფერიული სხეული, დედამიწის ტყუპი, ანუ ორეობი: მას ჩვენ ვერასოდეს ვხედავთ, მიტომ რომ ის ყოველთვის იმ მსოფლიო კერის მოწინააღმდეგე მხარეზე ტრიალებს. ჩვენ ვერც იმ ღვთაებრივს ლამპარს ვხედავთ: დედამიწა მხოლოდ ერთის ნახევრით არის მისკენ მიპყრობილი და სწორედ ეს ნახევარია დაუსახლებელი.

როგორც ხელაპყრობილი მლოცველნი წმინდა ადგილს, ისე ზეციური სხეულნი უვლიან გარს იმ სამყაროს საკურთხეველს, რომელიც მათ სითბოს და სიცოცხლეს უძღვნის. სფეროებში გაისმის მათი გალობა, ზეციური მუსიკა და თუ ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ ეს უზენაესი ჰარმონია არ გვესმის, ეს იმიტომ, რომ ჩვენი სმენა დაჩლუნგებულია მის გასაგონებლად. ჩვენ მეწისქვილეს ვგევართ ბორბალთა ხმაურობას რომ შესჩვევია. უზენაესი ნიჭით ცხებულნი არსებანი კი ისმენენ იმ გრძნობის წარმტაცს მელოდიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ქვეყნიურ ყოფნას სცილდებიან და ღვთაებას უახლოვდებიან.

დედამიწის ტრიალი თავის ღერძის გარშემო ძველი პითაგორელებისთვის უცნობი იყო. მხოლოდ შემდეგ, როცა მეოთხე საუკუნის დასაწყისში კართაგენელმა ჰანნომ გიბრალტარის სრუტე გასცურა და ამით „სოფლის ბჯეს“ გადააცილა, ხოლო ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთს მიაღწია, დედამიწის „დაუსახლებელს ნახევარს“ ყოველი საფუძველი გამოეშალა. არც ის მსოფლიო ცეცხლი გამოჩნდა ჰორიზონტზე, თუმცა ადამიანმა გადაბიჯა წრეს, რომელიც ბურთის ერთს ნახევარს მეორესაგან ჰყოფდა. ამ გამოცდილებით აღჭურვილი პითაგორელი **ეკფანტოსი** ჩქარა მივიდა იმ იდეამდე, რომ დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ტრიალებს, ხოლო 280 წ. ქრ. შ. სამოსელმა **არისტარქმა** მისტიური ლამპრის ადგილას მზე მოათავსა. მზე, მისი აზრით, შვიდჯერ უფროსია დედამიწაზე და კოსმოსის ცენტრში იმყოფება. ამგვარად შეიქმნა ჰელიოცენტრიული სისტემა თვრამეტი საუკუნის წინად კოპერნიკამდე.

ძლიერ მნიშვნელოვანია კროტონელ **ალკმეონის** აღმოჩენანიც ფიზიოლოგიის სფეროშიც. ეს მოაზროვნე უფრო სკეპტიკოსი და კრიტიკოსი იყო, ვიდრე ძველი პითაგორელნი. მას უფრო პოზიტიური კვლევა-ძიება აინტერესებდა, ვიდრე სპეკულაცია ღვთაებრივს და ზეციურს ნივთებზე. მან აღმოაჩინა, რომ სულიერი ცხოვრების ფიზიოლოგიური ორგანო ტვინია, რომ ეს ის სენსორული ნერვების შემწეობით გარეგნულ ორგანოებთანაა შეკავშირებული. ცხოველთა სექციის შემწეობით ის დარწმუნდა, რომ ეს ნერვები, ანუ „არხები“ და „ბილიკები“, როგორც ის უწოდებს, გარეშე შთაბეჭდილებათა გადამცემი ძაფებია, რომ თვით ამ შთაბეჭდილებათა ხასიათი მიმღებ ორგანოთა და გადამცემ არხთა სპეციფიურს თვისებაზეა დამოკიდებული. ის შეეცადა სიკვდილის პრობლემის ახსნასაც, მაგრამ ეს ახსნა ნაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერულად „ადამიანები მიტომ კვდებიან, რომ მათ არ ძალუძთ დასაწყისი (ე. ი. ბავშობა) და დასასრული (ე. ი. სიბერე) ერთი მეორეს გადააბან“. ადამიანის მოხუცებულებას რომ ხელახალი ახალგაზრდობა მოსდევდეს, ისე როგორც ზამთარს გაზაფხული მოსდევს, მაშინ მისი ცხოვრება მუდმივ დაუსრულებელი წრე იქმნება და არა პირდაპირი გზა დაბადების მომენტიდან სიკვდილისკენ მიმავალი.

თვით სამყარო კი პითაგორელების შეხედულებით პირიქით სწორედ მუდმივს წრეს აკეთებს თავის მსვლელობაში. არსებობს მსოფლიო წელიწადი. რომელიც ისეთს დამოკიდებულებაში იმყოფება ჩვეულებრივ წელიწადთან, როგორც ეს უკანასკნელი ერთს წუთთან. ერთს მსოფლიო წელიწადს საბედისწერო აუცილებლობით მეორე მოსდევს და ამგვარად რითმიულად მეორდება ყველაფერი, რაც ქვეყანაზე არა ერთხელ ყოფილა. მეორდება უწვრილმანესი კომბინაციებიც კი. ამიტომ სამყარო არსებითად უკვდავია.

ეს შეხედულება მუდმივს განმეორებაზე თვით არა ერთხელ განმეორებული კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. პირველად ის ბაბილონელთა სპეკულაციაში გვხვდება. ჩვენს დროში მას სპენსერმა მეცნიერული და პოზიტივური სარჩული დაუდო, ხოლო ნიცშემ ეს პოეზიის და მეტაფიზიკის ბურუსში გახვია.

გერონტი ქიქოძე.

ბაზე ილაპარაკა. ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებამ მთელი აზიის მშვიდობიანობა უზრუნველ ჰყო. 1907 წლის ხელშეკრულება ყველაზე უკეთესიაო—სთქვა მორლეიმ, რასაც ვერ დავეთანხმები. ეხლა ბევრად ცუდია სპარსეთის მდგომარეობა, ვიდრე ხელშეკრულებამდე. ხელშეკრულებამ ვერ შეაჩერა სპასეთის დაქვეითების პროცესი. რუსეთის მეორე ულტიმატუმის საქმეში ინგლისი ხელს ვერ დაიბანს. ინგლისმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს და სპარსეთის დამოუკიდებლობის მბჟუტავი ლამპარი კვლავ გაავლვოს (მოწონების ნიშანი).

მაკდონალდმა განაცხადა, ინგლისი ზრუნავს სპარსთა და მათ მთავრობისთვისაო. მარტო რუსეთს არ გამოუწვევია სპარსეთში საქმის გამწვავება. შუსტერიც არის დამნაშავე, ვინაიდან სპარსეთის ძლიერ მეზობლების მიმართ უტაქტოდ გამოიჩინა. შემდეგ მორლეი „ტაიმსში" დაბეჭდილს შუსტერის წერილს ეხება და ამბობს: რუსეთს ჰქონდა მიზეზი შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი, რადგან სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელი ლანძღავდა რუსეთის მოხელეობასო. გრეიმ გააფრთხილა შუსტერი. ინგლისის მოქმედებას რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულების ხელუხლებლად დაცვა ექნება სარჩულად ყოველგვარად უნდა ვეცადოთ სპარსეთის მთავრობის გამობრუნებას და როგორმე ვიხსნათ გაჭირვებულ ქონებრივ მდგომარეობიდანაო (მოწონების ნიშანი).

კერზონმა განაცხადა, მორლეის განმარტებამ დამაკმაყოფილაო.

გაზეთები სპარსეთის კრიზისის თაობაზე სწერენ. ყველა ისას ამბობს, შუსტერს კეთილი განზრახვა აქვს, მაგრამ უტაქტოა და თავი უნდა მიანებოს სამსახურსაო.

ოდესა. გემთა მიმოსვლის საზოგადოებამ გემ „ტიგრის" კაპიტანისაგან დეპეშა მიიღო, ნავთსადგურ ბუშირში რომ მივედით, სპარსელი მენავეები არ მოგვეკარნენ და არ დაგვეხმარნენო.

ისპაჰანი. ქალაქში პროკლამაციებსავრცელებენ და რუსების წინააღმდეგ ხალხს ამხედრებენ. რუსეთის საქონლის ბოიკოტსა ჰქადაგებენ. ინგლისის საელჩომ დამცველთა რაზი გააძლიერა; რაზმს ისპაჰანის გზაზე ყაჩაღებთან შეტაკება მოუხდა.

ურმია. დილმანის სპარსელთა გუბერნატორს სალმასის სოფლელებმა სთხოვეს, ქურთებისაგან დაგვიფარეთო. თუ ამას არ იზამთო, დახმარებისთვის რუსეთს მივმართავთო. ერთის კვირის განმავლობაში ქურთებმა 20 სოფელი აიკლეს. რამდენიმე გლეხი და სპარსელი მხედარი მოჰკლეს. ენზელის ოლქში ძარცვა-გლეჯაა.

თავრიზი. ფიდაები შუაგულის სიმაგრეს აძლიერებენ. ენჯუმენი იწვევა, თეირანიდან ბრძანება მოვიდა, თავრიზში დიდი ბრძოლა უნდა გამართოთ, თუ გსურთ, რუსეთმა მოთხოვნილებას დაუკლოსო. ფიდაები ხალხს ქალაქზე ხელს აწერინებენ, რომელნიც ოსმალეთის ხონთქარს უნდა გაეგზავნოს დახმარების სათხოვნელად. რუსები ქოის მოვიდნენ.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

თეირანი

მეჯლისმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპეშით მიჰმართა სამართლიანობა დაიცვას და როგორმე დაეხმაროს იმ მდგომარეობის და საქმის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, რაც რუსეთ-სპარსეთის უთანხმოებამ გამოიწვიაო.

მეჯლისმა „სამშობლოს მხსნელთა" კომიტეტის წევრები აირჩია. კომიტეტში ოცი კაცია, მათ სახელს არ ამჟღავნებენ. სალარ-უდ-დოულეს, სამად-ხანს და ნაიბ-უსეინს დეპეშა გაუგზავნეს, შევრიგდეთ და საერთო მტერს ვებრძოლოთო.

ქუჩებში რუსეთის საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციების დროს კერძოდ არც ერთი რუსს არ ემუქრებიან, პიროვნებას არ ეხებიან. ელჩი და მისის წევრნი თავი სუფთად დასეირნობენ ქალაქში.

ბახტიარებმა მთავრობას მოსთხოვეს, ქალაქის დაცვის საქმე ჩვენ მოგვანდეო. მაგრამ მეჯლისმა თხოვნა არ შეიწყნარა. ბახტიარებმა მუქარა დაიწყეს, რის გამოც ეფრემხანმა მათ წინააღმდეგ ჯარი დარაზმა. სათარხანის შუამავლობით შერიგდნენ.

ბენდერ-გიაზის სპარსთა ბანკის განყოფილებამ დიდძალი ფული მიიღო ნაშაჰარის სახელობაზე. ფულის მიღება დავალებული აქვს ამირაჯიბს.

ხოჯა-ნეფესს ოცი და ათი კავკასიელი მოვიდა. ამბობენ, კიდევ 800 კაცამდე უნდა მოვიდესო და რაზმი უნდა შესდგეს მაჰომედ-ალის ტახტზე დასაბრუნებლადაო. რაზმს მეთაურობს ქართველი თავადიშვილი ამირაჯიბი, რომელიც უკვე ნაშაჰართან არის.

ვენაში ამბავი მისულა, ოსმალეთი სპარსეთის საზღვარზე ჯარის ერთ კორპუსსა ჰგზავნისო.

პეტერბურგი.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ამბავი მოუვიდა, სპარსეთი მზადაა რუსეთთან მოლაპარაკება გამართოს, თუ მას საფუძვლად სპარსეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაედებაო.

ისპაჰანში რუსეთისა და ინგლისის ელჩებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მცხოვრებთ აკრძალული აქვთ მათ რაიმე სანოვაგე მიჰყიდონ.

ბერლინი.

ამბობენ, სპარსეთში მოქმედების დაწყებამდე, რუსეთი გერმანიას შეჰპირდა ხანეკენ თეირანის რკინის გზას შენ გაგაყვანინებო. ამას შემდეგ რუსეთს სპარსეთში მოქმედების თავისუფლება მიენიჭა.

# ჩინეთის რევოლუცია

დ ე პ ე შ ე ბ ი

პარიზი. საზანოვმა განაცხადა, ჩინეთის საქმეებს რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია ერთნაირად უყურებენო.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ხანკოუ-ქალაქში.

იუანშიკაიმ 800 ათასი მანეთი გამოიღო სამხედრო საჭიროებისთვის და ამით პირდაპირ გაილაშქრა რესპუბლიკელთა წინააღმდეგ, აქამდე იგი მოლაპარაკებაში იყო. ამ მოლაპარაკების შედეგი ჯერაც არ იციან.

პეკინის ქუჩები ხან სულ ცარიელია, ხან ხალხით ივსება პოლიციელებთან შეტაკებანი ხდება. თეთრ დროშებს გაფაციცებით ყიდულობენ. მისიასა და საელჩოს დღე-ღამ სდარაჯობენ. ყოველდღე ახალ ახალ პროკლამაციებს აბნევენ ქუჩებში და კედლებზე აკრავენ. სამხრეთიდან რესპუბლიკელთა გაზეთები მოდის და მთავრობის თვალწინ იყიდება.

ლონდონი.

შანჰაიდან ამბავი მოდის, მთავრობის ჯარი ქ. უჩანს ზარბაზანს ესვრის. ნანკინიდან რევოლუციონერები ქალაქის დასახმარებლად წავიდნენ. ხანკოუში, ბრძოლის შემდეგ, ხუთი ათასამდე გვამი გდია. ელჩები თხოულობენ მათ მოშორებას, ვინაიდან რაიმე სენის გაჩენისა ეფიქრებათ.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

24 ნოემბერი.

სტამბოლი. სამხედრო სამინისტრომ ტრიპოლის ჯარის უფროსისგან დეპეშა მიიღო, 21 ნოემბრის ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა უკან დაიხიეს და ძველი პოზიციები დაიჭირეთო.

პორტას შეატყობინეს, ჩერნიგორიასა და ბულგარეთში ჯარის თავმოყრა გამოაცხადესო. ნავთსადგურ მედუას ახლო იტალიელთა სამი სამხედრო გემი გამოჩნდა..

დაჰკეტეს გაზეთი „ალემდა," ლიბერალთა ახალ პარტიის კავშირის ორგანო.

პარიზი. „ტანის" თანამშრომელთან ლაპარაკის დროს, საზონოვმა სთქვა, ძალიან მიკვირს, როცა გაზეთებში ვკითხულობ, თითქოს რუსეთი ეხლა სრუტეების საკითხების აღძვრას აპირებდესო და ოსმალეთისაგან მოითხოვდეს რუსის გემთა თავისუფლად მიმოსვლის ნებასაო. ამის თაობაზე ოფიციალური ლაპარაკი არც კი გვქონია, მხოლოდ ოსმალეთს ვუთხარით ორიოდე სიტყვა, ვინაიდან ვფიქრობდით, ვაი თუ დარდანელში ნაღმები ჩააწყოს და ამით ვაჭრობა შეაფერხოსო.

პორტ საიდი. იტალიის კრეისერმა „აპულიამ" მეწამულ ზღვაზე ინგლისის გემს „პოლევორს" სროლა დაუწყო და გააჩერა.

სტამბოლი. უცხოელთა გაზეთების ცნობა, ვითომც რუსეთს დარდანელის გზის განთავისუფლების თაობაზე რამე ნოტა გაეგზავნოს, ტყუილია. ოსმალეთის მთავრობის საზრუნავი ეხლა სრუტეთა გაძლიერებული დაცვაა, ვინაიდან იტალიელების თავდასხმისა ეფიქრებათ.

ტრიპოლი. ოსმალებმა ოაზისი მიატოვეს. იტალიელთა მხედრობა ბეიტობრასსა და ბეიზლთურქისაკენ წავიდა და გაქცეულ არაბთა და ოსმალთ დაედევნა. მტრის 3 ათასი ჯარის კაცი გუშინ აინზარიდან დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე იყო. გენერალ პეკორის დივიზიონმა და რაინალდის ბრიგადამ ისევ მიიტანა იერიში. მტერი დაიბნა და ზარბაზნის რამდენიმეჯერ სროლის შემდეგ უკუ იქცა. მას დიდძალი საგძალი დარჩა. იტალიელთა ჯარის ბატალიონი ბედუინთა დიდ ბანაკს დაეცა და მთლად გაანადგურა. სიგნალიზაციის წყალობით გენერალმა პეკორიმ რომ გაიგო, ბირელურას ახლო მტრის დიდი ბანაკიაო, ალპიელთა მსროლელების ბატალიონი და სამთო არტილერია გაჰგზავნა. ბანაკს ჯერ ესროდნენ, შემდეგ დასწვეს.

რომი. მეწამული ზღვა იტალიის ფლოტმა მთლად გაანთავისუფლა ოსმალთა გემთაგან. ერითრეის მთელ ნაპირზე ყველგან ნიშნის მიმცემი სანთური აანთეს.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

ტრიპოლიში 18 ნოემბერს ერთს არაბს გაზ. „ტანის" კორესპონდენტი კარგი დაუჭირია. მეორე არაბს დარაჯი მოუკლავს. დილის ხუთ საათზე ოსმალებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და სიმაგრე სიდი-მესრიდან ზარბაზნის სროლამ უკუაქცია ისინი. დილისით ოაზისში ხანმოკლე სროლა იყო.

სტამბოლი.

ელჩს მაჰმუდ-მუხტარს მთავრობამ დაავალა, ბერლინს დახმარება ითხოვე და სამაგიეროდ რამდენიმე საეკონომიო უპირატესობანი აღუთქვიო.

ამბობენ, რუსეთმა პორტას წინადადება მისცა, დარდანელის გზისთვის ისეთი წესები შევიმუშაოთ, რაც სუეცის სრუტისთვის არის დაწესებულიო.

რ ო მ ი.

იტალიის პრემიერ-მინისტრს სანჯულიანის რუსეთის ელჩისთვის უთქვამს, იტალიას განზრახვა აქვს ამ დღეებში ეგეის ზღვაზე დაიწყოს მოქმედებაო.

ტრიპოლის ნაპირებთან მდგარი იტალიის ესკადრა სადღაც წავიდა, არ იციან—სად.

სალონიკი

ჩერნოგორიის საზღვრიდან იუწყებიან, მდგომარეობა გამწვავდაო. პრიზრენსა და სკუტარს ჯარი გაიგზავნა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. გერმანიის რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წევრებს მუშათა პარტიის ყველა წევრთა მიერ ხელმოწერილი ბარათი გაუგზავნეს. ბარათში ნათქვამია, თქვენს ამომრჩევლებს გამოუცხადეთ ბრიტანელ მუშათა თანაგრძნობა და მეგობრობა, ორივე ხალხი მეგობრულად უნდა ვცხოვრობდეთ და თუ რაიმე სადაო საკითხი გაგვიჩნდა და უთანხმოება ჩამოვარდა, საშუალებო სასამართლოთ გადასწყვიტოთ ხოლმეო.

მადრიდი. განაცხადების განცხადებისამებრ, საფრანგეთის ელჩისა და ესპანიის მინისტრის მოლაპარაკებას ინგლისის ელჩიც დაესწრება.

ბრიუსელი. ბრიუსელის შაქრის მრეწველთა კომისიის სესიის სხდომამ საერთაშორისო ხელშეკრულება განიხილა. კრებაზე ინგლისის დელეგატებმა განაცხადეს, რუსეთიდან უფრო მეტის შაქრის გამოტანას შეიძლება დავეთანხმოთო.

რ უ ს ე თ ი.

მოსკოვი. სიყალბის ჩადენისთვის სამხედრო სამართალში მისცეს პოდპოლკოვნიკი კრიუნი და საქმის მწარმოებელი ხილკოვი.

კიევი. სამხედრო სასამართლომ საიდუმლო სხდომაზე დაიწყო რვა კაცის საქმის გარჩევა, მათში ოთხი სტუდენტია. ბრალსა სდებენ ვითომც რუსეთის საპოლიტიკო გეგმა ავსტრიისთვის გადაეცეთ.

პეტერბურგი. გენერალის ელჩმა მთავრობას აცნობა, რუსეთის ნახშირის წარმოების იტალიაში გაძლიერება შესაძლებელიაო.

ყირიმიდან სამხედრო მინისტრი დაბრუნდა.

სიზრანი. პურის სყიდვის გასაადვილებლად ერობამ მაზრაში ბევრი დუქანი გახსნა.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად აკრძალულ იქმნა თავისთავად ფინლანდიასთან შეერთების ასის წლის თავისა... [the heading line reads:] უმაღლესად აკრძალულ იქმნა თავდაპირველად დღესასწაულის გადახდა ვიბორგის გუბერნიის ფინლანდიასთან შეერთების ასის წლის თავისა.

ავადმყოფობა.

ასტრახანი. 22 ნოემბერს ასკუჩაგილში შავის ჭირით ავად გახდა ერთი.

# უცხოეთი

ინგლისი და სამთა კავშირი.

გაზეთებმა გაიხსენეს ინგლის-გერმანელთა კავშირის იმ დროის პროექტი, როცა ახალ-შენთა სტატს სეკრეტრად ჩემბერლენი იყო.

1899 წლის ოქტომბრის დამლევს, როდესაც თ-დი ბიულოვი იმპერატორ ვილჰელმთან ერთად ლონდონს მივიდა, სალისბერს ურჩია, ინგლისი „სამთა კავშირს" შეუერთდესო. სალისბერიმ უპასუხა, კარგიო, ცალკე საკითხებში შეგვიძლიან შევთანხმდეთო, მაგრამ არ მესმის, მოტკივარი თავი რად ავიტკივოთ და ინგლისს თუ არა ავნეს-რა ომი თავს რად უნდა დაიტეხოსო. ბიულოვს ლაპარაკი ჰქონია ჩემბერლენთანაც და ამნაირივე პასუხი მიუღია.

თვე არ გასულა ამის შემდეგ, ჩემბერლენმა ლეიჩესტერში სიტყვა წარმოსთქვა, გერმანიას ძალიან ბევრს დაჰპირდა და სთქვა კიდეც, უფრო მეტად დაახლოვება საჭიროაო. ბიულოვმა ჩემბერლენს მხარი ვერ დაუჭირა, ვინაიდან ეშინოდა, ვაი თუ გერმანელთა საზოგადოებას არ მოეწონოს ინგლისთან მეგობრობაო. ჩემბერლენი ბიულოვის კილოს გამოცვლამ ძალიან გააბრაზა. 1912 წელს ინგლისში მაროკოს გაყოფის საკითხი აღიძრა. ბერლინში ამას დიდის თანაგრძნობით შეჰხვდნენ. ორივე მხარე რომ შეთანხმებულიყო, მაროკოს გაინაწილებდნენ, რადგან საფრანგეთი ორივეს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. საფრანგეთის მაშინდელმა გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ ინგლისს ერთმანეთის დასახმარებლად მკვიდრი მეგობრობის წინადადება მისცა და გერმანიასთან მარტოოდენ მაროკოს თაობაზე შეთანხმებამაც ფასი დაჰკარგა.

კუნძულ კრიტის რევოლუციური მოძრაობა.

კუნძულ კრიტზე მოძრაობაა. კრიტელებსა ჰსურთ ოსმალეთის უმწეო მდგომარეობით ისარგებლონ და საბერძნეთს შეუერთდნენ. წარსულ კვირას ყველგან კრებები გაიმართა. კანეიდან ნახევარ საათის სავალზე. გალოსტიას ოლქში კრებას 7 ათასი კაცი დაესწრო. განზრახვა აქვთ სარევოლუციო პარლამენტი მოიწვიონო. წარმომადგენელნი უკვე ამოირჩიეს. ყოველი ოლქი ირჩევს ათს, ან ხუთმეტს დეპუტატს. მშვიდობიანობა კუნძულზე ჯერ-ჯერობით არ დარღვეულა.

# რუსეთი

პეტერბურგის სტუდენტობა. უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტთა კრება გაიმართა, კრებამ მიიღო რეზოლუცია, რითაც პროტესტს აცხადებს სპარსეთში ჯარის გაგზავნისა და სოც.-დემ. მიერ სათათბიროში შეტანილ შეკითხვის განსახილველად სხდომის საიდუმლოდ გამოცხადების წინააღმდეგ. ამასთანავე რეზოლუცია მიიღო „ვულკანის" ქარხნის მუშათა კრებამ. ზოგიერთი სტუდენტი დააპატიმრეს.

პოლიციელთა გამოკითხვა. სენატორ ტრუსევიჩის წინადადებისამებრ ჩვენება ჩამოართვეს სამას პოლიციელს და უბნის რვაას ზედამხედველს, რომელნიც კიევში იყვნენ დამცველებად აგვისტოს დღესასწაულზე.

„რუსთა საკრებულოში" მომხდარი სკანდალი.

პეტერბურგის „რუსთა საკრებულოში" დიდი აურ-ზაური მოხდა. გრაფმა კონოვნიცინმა ბორის ნიკოლსკის „მატყუარა" უწოდა „საეჭვო ფულის" ხსენებისთვის. მარკოვმა მე-2 ნიკოლსკის დაუძახა „არამზადაო". ნიკოლსკიმ მარკოვს სილა გააწნა, იმანაც უპასუხა, პურიშკევიჩმა ნიკოლსკის საცემრად გაიწია, მაგრამ დაიჭირეს. ერთმა მანდილოსანმა ნიკოლსკის მხარი დაუჭირა და მარკოვს კისერში ძლიერ მოსცხო. ამ ამბავს დაესწრნენ სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს ზოგიერთნი წევრნი.

გაზეთ „რეჩის" კორესპონდენტს ამის თაობაზე დუბროვინის მიმდევარ მოსკოველთან უსაუბრნია. მოლაპარაკეს უქია ბორის ნიკოლსკი—ძალიან გულწრფელი ადამიანიაო. იგი ძალიან არის აღშფოთებული იმით, რომ პურიშკევიჩი, მარკოვ მე-2 და მათი დამქაშნი სტოლიპინისაგან ფულს იღებდნენო. გაცემული სუბსიდია „ინოროდცებთან" საბრძოლველად იყო გადადებული. მაგალითად, მარკოვ მე-2 ყოველ წლივ 7 ათასს მანეთს იღებდა კავკასიაში „გოლოს რუსკაგო"-ს გამოცემისთვის, რომელიც რუსებს ქართველებსა და სომხებზე ასისინებდა.

მარკოვის სეკუნდანტს განუცხადებია კორესპონდენტისათვის, დუელი აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ასეთ შეურაცხყოფის ჩამობანვა მხოლოდ სისხლით შეიძლებაო.

„რუსკოე სლოვო"-ს მეფელეტონე დოროშევიჩმა გაზეთს თავი მიანება მის მაგივრად მეფელეტონედ მიიწვიეს არკადი ავერჩენკო. ავერჩენკოს წელიწადში 30 ათასი მანეთი დაუნიშნეს. ხელშეკრულებაც დიდის ხნით არის დადებული.

„ნოვოე ვრემია"-ს ცარიცინიდან დეპეშა მიუღია: ნიკოლოზისს სლაბოდაში სახოლოთ ბრბო ფრანგებს დაეცა, რომელნიც დანაძლევებულნი არიან და მთელ ქვეყანას ფეხით უნდა შემოუარონ. ფრანგებმა რევოლვერის სროლით მოიგერიეს თავდამსხმელნი. ფრანგებს რუსეთში პირველად მოუხდათ ასეთი ბრძოლა. სპარსეთში მათ სალარ-უდ-დოულეს რაზმთან შეტაკება ჰქონდათ და ხართუმთან—სროლა არაბებთან. ფრანგები ციმბირს მიდიან.

# თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს ქართულმა დრამატიულმა დასმა ორი ორიგინალური ახალი პიესა დასდგა: „სიზმარი კოშკში" და „მსხვერპლნი უვიცობისა". პირველი, დრამატიული ესკიზი ბ-ნ კონსტან ანდრონისა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, ასე რომ მკითხველებმა იციან მისი შინაარსი. დრამატიულ ესკიზში, რომელიც საკმაო მხატვრობითაა დაწერილი, გატარებულია ის აზრი, რომ ცხოვრების დაუსრულებელ მსვლელობაში ჩავარდება ის ფორმები, რომლებშიაც ადამიანის ტანჯვა ისახება. ძველებურ კოშკში, სადაც დრამა სწარმოებს, ოდესღაც, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, მომხდარა ის ამბავი, რომელიც რამდენისამე წლის ან იქნება საუკუნის შემდეგ განმეორდა. იგივე სახელები, იგივე დამოკიდებულება მომქმედთა შორის, იგივე სურათი ფატალისტურის აუცილებლობით მეორდება. ასეთია დედააზრი დრამატიულ ესკიზისა, რომელიც მხატვრულად და მარტივად არის დაწერილი. პიესა უფრო კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებელზე, რომ მსახიობებს კარგად ეთამაშათ და ტეხნიკისთვისაც მეტი ყურადღება მიექციათ. მთელი ესკიზი პოეტური სურათია. ამისთანა ნაწარმოებში წვრილმანსაც კი შეუძლიან დისჰარმონია შეიტანოს. ისეთი ნაკლი კი, როგორიცაა როლის უცოდინარობა, პირდაპირ ამახინჯებს სურათს. ზურაბის ცოლი თინა ეუბნება მალხაზს, როდესაც ზურაბი ლეგენდას უამბობს ვისმე, მჭერმეტყველი ჰხდებაო. ბ-ნმა გუნიამ კი ისეთი მჭერ-მეტყველება გამოიჩინა, რომ მე მგონია სჯობდა მჭერმეტყველება სუფლიორისა, რომლის ხმაც უკეთესად ისმოდა. ამის წყალობით ლეგენდამ, რომელსაც ერთგვარი განყოფილება უნდა დაემყარებინა, უფერულად ჩაიარა. ტეხნიკის მხრითაც ვერ იყო მოწყობილი პიესა კარგად ქარის ზუზუნი ისმისო, ამბობენ მომქმედნი პირნი, მაგრამ ჩურჩულიც არსად ისმოდა. ბადიანი ფარდა, სიზმარის დროს, ისეთის ფხაკა-ფხუკით ადიოდ-ჩადიოდა, რომ ილიუზიასა სპობდა. ასეთი დეფექტები ანახევრებენ შთაბეჭდილებას. ურიგო არ იქნება, თუ რეჟისორები მიაქცევენ ყურადღებას ყველა ამას და შეეცდებიან, შემდეგში მაინც აცილონ თავიდან ასეთი დეფექტი.

მეორე პიესა, „უვიცობის მსხვერპლნი", ჩვენის აზრით, ძალიან სუსტია. უვიცობა იმაში გამოიხატება, რომ სოფლის ხალხი დიდის ნდობით ეპყრობა მკითხავსა, ცრუმორწმუნოება ძალიანაა გავრცელებული ჩვენში და ნიჭიერ მხატვრის თვისაც ეს ცრუ-მორწმუნოება მასალის დაუშრეტელი წყაროს წარმოადგენს. ზემოხსენებული პიესა კი სუსტადაა დაწერილი და ალაგ-ალაგ ისე ძალიანაა გაჭიანურებული, რომ მაყურებელს ძილსა ჰგვრის. ასეა გაჭიანურებული, მაგალითად, პირველი მოქმედება. ავტორს პიესისთვის სცენები დაურქმევია. მაგრამ სცენებისთვისაც საჭიროა ცოტაოდენი დრამატიული ხლართი. პიესაში კი ჩვენ წინ იშლება სურათები, რომელიც ორგანიულად არ არის დაკავშირებული ერთი-მეორესთან. ალაგ-ალაგ მოსწრებული სიტყვა-პასუხი რომ არ იყოს ჩართული, ძალიან მოსაწყენი იქნებოდა მსახიობებმა თავისი კარგი თამაშობით სიცოცხლე მისცეს პიესას. ძალიან კარგი და ტიპიური იყო ქ-ნი ამირეჯიბი თინას როლში. მშვენიერი სასიამოვნო ხმა, დიკცია კარგს შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამ ახალ-გაზრდა მსახიობს უსათუოდ ემჩნევა სასცენო ნიჭი, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ძალიან მორცხვობს სცენაზე. თავის თამაშობაში თუ მეტს სითამამეს შეიტანს, შთაბეჭდილება გაორკეცდება. კარგი იყო ნინიას როლში ბ-ნი გ. იმხნელი და მაიკოს როლში—ქ-ნი ჩერქეზიშვილი.

Homo.

ახალი სომხური დრამა. დრამატურგმა გ. სუნდუკიანცმა თავისი უკანასკნელი პიესა „ანდერძი" უკვე საბოლოოდ შეიმუშავა და ახლო მომავალში დაიდგმება სომხურს სცენაზე. ავტორმა თავის ეს ნაშრომი უძღვნა კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოებას მის არსებობის 30 წლის იუბილეს გამო. პიესის საუჟეტი აღებულია ტფილისის სომეხ მდიდართა ცხოვრებიდან.

ხახალხო სახლი. „მთიელში"—ახალი 3 მოქ. პიესა ს. ჭანტურაშვილისა.

ამ ბოლო დროს ჩვენში ბევრმა მოიწადინა დრამატურგობა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მწერლობა საზოგადოთ და დრამატიული—განსაკუთრებით, მწერლისგან მოითხოვს, შემოქმედებითი ნიჭის გარდა, უნარს ცხოვრებაში ღრმად ჩაკვირვებისას და ამ ცხოვრების ნაირის—უმთავრესს საგულისხმიერო მხარეების—მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებას და ეგრეთვე სცენის ტეხნიკის კარგად ცოდნასაც. ამიტომ არის ხოლმე, რომ ბევრს სურვილი სურვილადვე რჩებათ და მიზანი მიუღწე-

ველი: ის დრო და დიდი ენერგია, რაიც ტყუილად ეკარგებათ, პიესის შესაქმნელად. ნაყოფიერად შეეძლოთ მოეხმარად რამე სხვაგვარ ბელეტრისტულ ნაწარმოებზედ.

პარასკევს, 25 ნოემბერს, სახალხო სახლში დადგმული ახალი პიესა— „მორევში"—ახალგაზდა კალმოსნის ბ. ს. ჭანტურიშვილისა, მეტად მკრთალი გამოდგა, როგორც დრამატიული ნაწარმოები და და დიდმა უნარმა და მეცადინეობამ რეჟისორ პ. წუწუნავასამ ვერ იხსნა იგი დაღუპვისაგან...

დაახლოვებით შინაარსის გადმოცემა ჩვენ შორს წაგვიყვანდა. ამ პიესის დედა აზრი, როგორც სათაურიდან სჩანს, ავტორი იმას გვეუბნება, რომ სიყვარული ადამიანთა ცხოვრებაში ისეთი მორევია, რომ იმის გავლენის ქვეშ მყოფი კაცი, ვით მორევში ჩათრეული, რაც გინდ აიძულოს იგი ზნეობრივ, ან სხვა მოთხოვნილებამ,—სავსებით ვერ თავისუფლდება ამ გრძნობის გავლენისგან და ძალ-დატანებით თავიც რომ შეიკავოს,—ეს ძალიან ხან მოკლე იქმნება და მალე ისევ ჩაითრევს ის მორევი, რომელიც ზოგს ახრჩობს და სძირავს და ზოგს კიდევ ზემოდან ატივტივებს.

თემა, როგორც ხედავთ, მეტად ძველია და მისი საყურადღებო და ორიგინალურად გაშუქება ხშირად დახელოვნებულ მწერლებსაც უძნელდებათ ხოლმე და ამიტომ იმდენად არ უნდა დავემდუროთ ახალგაზდა მწერალს, რომელსაც, რუსები რომ იტყვიან **блинъ вышелъ комомъ**...

ზოგიერთ ცალკე სცენებს და თითქმის მთელ პირველ მოქმედებასაც, სადაც დრამა ისახება, თითქმის არა უშავს რა, მაგრამ საერთოს, ბუნებრივ დამაკავშირებელს მოქმედებებს შორის ვერ ხედავთ, იმის გარდა, რომ ბევრი ყალბი სცენაა შიგ: ხშირად მომქმედნი პირები იმიტომ კი არ შემოდიან და გადიან სცენიდან, რომ ამას ბუნებრივად მოითხოვს პიესის მსვლელობა, არამედ იმიტომ, რომ ისე სურდა თვით ავტორს.

პიესის ამსრულებელთაგან, უმთავრეს როლში—აფიცერ გრეხილიძისა გამოვიდა ცნობილი მსახიობი ბ. ვ. გამყრელიძე, მაგრამ იმისმა თამაშმა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა: რაღაც არა ბუნებრივი იყო იმისი დრამატიზმი და იგი უხერხულად გრძნობდა თავს, თუმცა ამაში არა ნაკლებად ავტორიცაა დამნაშავე. არც ქ-ნი ევ. წუწუნავა (მარო) იყო თავის ადგილას: ტანჯვა-მწუხარების გამოსახატავად არა კმარა მარტო მალ-მალ სახეზედ ხელების მიფარება და მუშტების შეკუმშა.

ჩვენ ყველაზედ ბუნებრივად გვეჩვენენ: ბ. შ. ხონელი (კოტეს მოსამსახურე) ა. მიტრეველი (ტრ. მანაძე) და ქ. გარე-კახელი (ფოტინე),

რაც შეეხება თვით პიესის დადგმას, ბ. წუწუნავს მადლობის მეტი არაფერი ითქმის. განსაკუთრებით კარგი სცენა იყო მესამე მოქმედებისა: ტყეში ჩადგმული გურული ოდა, ცოტათი აქა-იქ ზედ მეტად დადგმული ზეებს რომ არ გვეუშნოვებინით.

თეატრი ხალხით სავსე იყო.

—ცახელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოვაცხადო იმათი სია, რომელთაგანაც ბ. ივ. გომელაურმა (გვირგვინის ნაცვლად) შეკრიბა შემოწირულება განსვენებულ **ნიკოლოზ ზუბდის ძის ცხვედაძის** პატივსაცემად და წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ—სულ 17 მან. შემომწირველნი: კიტა აბაშიძე, ნიკო წუწუნავა, ივ. გომელაური გ. ანთელიძე, დ. ბურჭულაძე, ლ. ბარათაშვილი, ს. ტარუაშვილი ერ. დეკანოზიშვილი ნ. ოთხმეზური, ს. ზ. წერეთელი და კოტე წერეთელი თითო მანეთი; ალ. მითაიშვილი, ნ. კიკალიშვილი, ივ. წერეთელი ბ. გელაზანია ათ ათი შაური. ზემოხსენებული 17 მან. მივიღე.

ქ. შ. წ.-გ. საზოგადოების ჭიათურის განყოფილების ხაზინადარი.

**ერეკლე დეკანოზიშვილი.**

**ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა** უღრმეს მადლობას უძღვნის ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი და აძლევენ საშუალებას დაასრულონ „ნაძალადევის თეატრის შენობა:

კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურიან-ორბელიანისამ — 10 მან. მიხეილ ალექსანდრეს ძე ჯაბარმა 2 მან. თ-დ გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ დავიდოვმა 2 მან. თ-დ დავით ალექსანდრესძე გურამიშვილმა 2 მან. ილია ელეფთერის ძე ზურაბიშვილმა ერთი მან.

წრის გამგეობამ მიიღო აგრეთვე ორ-ორი მანეთი ხელაძისა და გამცემლიძის ხელით, მხოლოდ ვის მიერ იყო გამოგზავნილი, გამგეობამ აქნობამდის ვერ გაიგო, ამისათვის გამგეობა სთხოვს გამომგზავნელთ აცნობონ წრის გამგეობას („ნაძალადევი"-ს თეატრი, ჩერქეზოვის ქუჩა) თავიანთი ვინაობა.

წრის გამგეობა სთხოვს ძველ წევრებს შემოიტანონ მეორე წლის საწევრო გადასახადი, რათა წრეს შეაძლებინონ თეატრის შენობის დამთავრება და ხმის უფლებაც არ დაჰკარგონ ახალ გამგეობის წევრთა ამომრჩევნებზე. წრეს იმედი აქვს საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა და ახალი წევრებიც ბლომად ჩაეწერება.

წრის გამგეობის მდივანი **იასონ ფანიაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)** (დრო ტფილის. საათითაა ჩაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის:

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავ. მატარებ. № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 33 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატარ. N 5. I—III კლას. საღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) სამგზ. მატარ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) შერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის:

**ბათომიდან:** 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. საფოსტ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-საქონლ. N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

## განცხადებანი

**სამშობიარო თავშესაფარი**

**მ. ი. კრემერ**

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და სამებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.
(26—913—19) **ი. გ. კაპანაძე.**

**თევზეულობა**

**ზუთხი** (ოსეტრინა), **თართი** (სევრიუგა), **ორაგული**, **ცოცხალი** (ლურჯა), **ლოქო**, **იშხანი**, **ფარგა** (სუდაკი), **შანარი** (საზანი), ყველანაირი ხიზილალა. ბოჩკის კარგი ხიზილალა ღირს 1 მ. 60 კაპ. სალდათის ბაზარი, თ. მუხრანსკის სახლის ეზო.

**ს. ხუროშვილი.**
(8—1611—1)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა. დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. **ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. **ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. **მუღდისი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. **ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. **პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანცი**: 12 ნახ. —1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
გ. ი. **გურგენოვი**: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. **კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ს. გ. **აგაბაროვი**: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანცი**: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. **ავეტისიანცი**: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—192)

**მუხრანის ხიდთან**

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. **გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.
გ. მ. **გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.
მ. კ. **ოსხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.
მ. ლ. **შტრეხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.
ლ. გ. **საყვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.
**აბზვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.
გ. ბ. **მელიქსიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.
ა. ი. **გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.
გ. ა. **აბვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.
მ. დ. **კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.
**კბილ** ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.
მ. გ. **მიკირტუმოვი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „**606**"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
№ 646. 100—50 (0—1003—180

**სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს** მოწაფეებს გიმნაზიისათვის, რეალურ სასწავლებლისათვის, სამხედრო და მისის მზომელთა სასწავლებელთათვის, საოსტატო ინსტიტუტისა და სემინარიისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებელთათვის, მასწავლებლობისა და აფთიაქის მოწაფის ხარისხზე I და II კლ. ჩინზე და სხვ. ფასი 10 მან. დაწყებული. პირადად მოლაპარაკება 4—7 საათამდე.
მისამართი: 1-ლი თუმანოვის ქუჩა, N 5, ბინა კულიჯანოვისა, ზემო სართულში. (25—1602—4)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**. ყველა კლასის **ჩინისათვის**. დებულობს ანბანის უცოდინარ ქალ ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში**. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.20)

**გაუფრთხილდით სიყალბეს!**

პროვიზორ

**გ. ფ. იურგენსის**

**ბორნო-ტიმოლის**

**საპონი**

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ ქეთილხუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.

ყველგან ისყიდება.

¹/₁ ნაჭერი 50 კ. ½ ნაჭ.—30 კ.
Мотцль. 5215. (18—1178—9)

**სუხუნატის წინააღმდეგ**

ახალი წამალი

„SALO-პირილინი"

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая, N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლია. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.
Мотцль. 12429. (45—1014—46)

**ქ. თელავში**

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის**

**წიგნი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 60 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—90)

**ალექსანდრე**



**თაბაგარის**

მაღაზიაში

**საკერავი და ასქსოვი**

**მაშინები,**

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც გიძლევთ გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.



ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари
(50—1072—51)

**საკერავი მაშინა**

**ზინგერის კომპანიისა**

**მაღაზია**

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში

(წ.—6210—42)

**ფრანგთა უსახელო საზოგადოება კავკასიაში**

**საავტომობილო მიმოსვლისა.**

**ზამთრობით მიმოსვლა ავტომობილით**
1911 წ. 2 (15) ნოემბრიდან

— **ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანს შუა.** —

**ბორჯომიდან** გადის **ახალციხეკენ** ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე. **ახალციხიდან — ბორჯომისკენ** დილის 9 საათზე კვირაში ერთხელ, **პარასკევობით**, ავტომობილი ივლის **აბასთუმნამდე**, ხოლო მეორე დღეს, შაბათს, უკანვე დაბრუნდება—დილის 8 საათზე, გაივლის **ახალციხეს**—დილის 9 საათზე.

| ფასი: | | |
|---|---|---|
| ბორჯომ-აბასთუმანი | 5 | მან. |
| ბორჯომ-ახალციხე | 3 | „ |
| ახალციხე-აბასთუმანი | 2 | „ |

ბარგი ყოველ ფუთზე—50 კაპ. (24—1581—8)



**საათების საწყობი**

**იულიუს გენე**

**Юліусъ Гене**

სასახლის ქ. თავად-აზნაურთა სახლი.

აუარებელი რიცხვი საათებისა ოქროსი, ვერცხლისა და ფოლადისა, საათები შვეიცარიის ქარხნებისა: **ზენიტი, ლონჟინი, ომეგა ბორელი შვილი და ამს. და სხვანი.**

მუდმივ მოგვეპოვება აუარებელი კედლისა და დასადგმელი საათები, ბუდილნიკები, ძეწკვები ოქროსი, ვერცხლისა, ფოლადისა და ოქრო-გადაკრული.

**საათების შესაკეთებლად საკუთარი სახელოსნო გვაქვს.**

**ფასები ზომიერზე ზომიერია.**
(12—1550—11)

**ღვინით მოვაჭრე**

ამხ. „**კომეტა**"

ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.

მივიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების **ღვინო**, ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. (20.1560.9)

## გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| **არჩილ ჯორჯაძისა:** | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა". . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . . | ფ. 85 კ. |
| **Bâtou-სა:** | „ერი და კაცობრიობა" . . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| **ვ. ყიფიანისა:** | „სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| **ნ. შიუკაშვილისა:** | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

**აგენტი**

**მ. ა. გაჩეჩილაძე ... ბაქონია**

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტებათ ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიოჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს და საღამოს 4—5½ საათამდე.

**„სორაპნის" გამოცემა.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

**კედლის კალენდარი 1912 წლისა,**

**შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.**

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირი ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში ხუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ აბევის დროს არ დაზიანდეს. ◆ ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ. ◆ პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ. Типографія „Сорапань", М. Гачечиладзе. დაიბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ „სახალხო კალენდარი" მ. გაჩეჩილაძის შედგენილი. (20.15945.)